№15 (7028) 15 სექტემბერი,
ორშაბათი, 2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

საჯარო სკოლებში დღეს სწავლა განახლდება, გილოცავთ!

განათლება ქვეყნის პრიორიტეტია

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს და თანამშრომლებს, სკოლის დირექტორებს და პედაგოგებს, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების უფროსს და აღმზრდელ-მასწავლებლებს, მშობლებს, სტუდენტებს, მოსწავლე-ახალგაზრდებს და პატარებს ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას.

განათლება ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია, ფასეული და საღი აზროვნების მქონე თაობის ჩამოყალიბების ქვაკუთხედი. ვუსურვებ ყველას იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების ჯანსაღი წარმომადგენლები, ქართული ეროვნულ-კულტურული ტრადიციების ღირსეული წარმომჩენები. ჰქონოდეთ ნებისყოფა, გამძლეობა და უფლის თანადგომა ყველა წამოწყებულ საქმეში.

ქვეყნის საყრდენ ძალას - სტუდენტებს ვთხოვ ნაყოფიერად გამოიყენონ ის შრომა, რაც დღემდე გასწიეს. გაემართლებინოთ ის იმედები, რასაც საზოგადოება, აღმზრდელი მასწავლებლები და მშობლები მათგან მოელიან. ვუსურვებ მათ არჩეულ საქმიანობაში დაოსტატებას და პროფესიულ ზრდას რთულ და საპასუხისმგებლო გზაზე.

პირველკლასელებო! ეს დღე მართლაც დაუვიწყარი მოვლენაა თქვენთვის. წელს პირველად შეაღებთ სკოლის კარს, დაეუფლებით ცოდნის მწვერვალს და დაფრთიანდებით ცხოვრების ასპარეზზე გასასვლელად. გისურვებთ სიყვარულს სწავლისადმი; წინსვლას ცხოვრებაში; მშვიდობიან, წარმატებულ და ძლიერ საქართველოში ცხოვრებას.

გოდერძი ბუკია
საქართველოს პარლამენტის წევრი, ხობის მაჟორიტარი დეპუტატი

გისურვებთ წარმატებულ სასწავლო წელს

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ პედაგოგებს, მშობლებს და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობას, რომელთა უპირველესი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, სწავლა-განათლებაა, თქვენ უნდა განავითაროთ თქვენი ინტელექტუალურ-შემეცნებითი პოტენციალი, ფიზიკური და სულიერი თვისებები, ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დაგჭირდებათ, რათა სწორად განსაზღვროთ საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური, ინტელექტუალური და პოლიტიკური ინტერესები. თქვენ ის თაობა ხართ, რომლებმაც უნდა შექმნას ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მომავალი, თქვენ ცოდნის მწვერვალების დაუფლებით, შეძლებთ თავად შექმნათ ღირებულებები და შეუერთდეთ თავისუფალ მსოფლიოს ღირსეულ მოქალაქეებად. ხელისუფლება მუდამ იზრუნებს თქვენი მრავალმხრივი განვითარების საჭირო გარემოს შექმნისათვის, სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებასა და განათლების ხელშეწყობაზე. გისურვებთ წარმატებულ სასწავლო წელს, ღმერთმა გაგაძლიეროთ და მოგმადლოთ ნიჭიერება და სწავლისმოყვარეობა.

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

წლის მნიშვნელოვანი მოვლენა

სასწავლო წლის დასაწყისი მუდმივად არის წლის მნიშვნელოვანი მოვლენა, ამიტომაც განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს ამ დღისადმი, რადგან მას თან სდევს მასწავლებლის უდიდესი ენერგიის მობილიზება, მოსწავლის განწყობა-მიიღოს განათლება, მშობლის მოლოდინი-რომ ახალმა სასწავლო წელმა მეტი საფუძველი შეუქმნას მომავალ თაობას.

ვულოცავ ახალი 2014-2015 სასწავლო წლის დაწყებას ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს. სასწავლო პროცესის დაწყებას ვულოცავ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების თანამშრომლებს, აღმზრდელებს, ყველა პატარას, ვინც სექტემბრის ამ დღეს სკოლებსა და ბაღებში ხვდება თავიანთ აღმზრდელ-მასწავლებლებს.

ვულოცავ კურსდამთავრებულებს, ვინც სტუდენტის სტატუსით აგრძელებს სწავლას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

წარმატებულ და საინტერესო პერსპექტივებს ვუსურვებ საგანმანათლებლო რესურსცენტრს, საჯარო სკოლის დირექტორებს, სამეურვეო საბჭოებს. ჩვეული გარჯით და რუდუნებით ეღვაწოთ ღირსეული მომავალი თაობების აღსაზრდელად.

გილოცავთ!

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

რა სიახლეები დახვდებათ 15 სექტემბერს მოსწავლეებს და მასწავლებლებს

პროფესიული ორიენტაციის პროგრამა, ექიმის კაბინეტი, განახლებული ინფრასტრუქტურა, სახელმძღვანელოები, ტრანსპორტირება, ფსიქოლოგის სამსახური–ეს ზოგად განათლებაში არსებული იმ სიახლეების არასრული ჩამონათვალია, რომელზეც ჟურნალისტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური ვრცლად ესაუბრა.

ახალი სასწავლი წლისთვის ცვლილებები განხორციელდა როგორც საგაკვეთილო ბადეში, ასევე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისითაც. მისი თქმით დღეს არსებული სკოლების 90% მაღალ სტანდარტს არ აკმაყოფილებს და უწყება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სკოლების სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა მოხდეს.

• წელს დასრულდა ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის რევიზია, რის ფარგლებშიც დაწყებითი საფეხურისათვის შეიქმნება ახალი სახელმძღვანელოები.

• ახალი სასწავლო წლიდან მეორე უცხო ენის სწავლება სავალდებულო გახდა მე-5 კლასიდან. წინა წლებში მეორე უცხო ენას სკოლები მეშვიდე კლასიდან იწყებდნენ.

ეს სიახლე ნაწილობრივ წლევანდელ მეექვსე კლასელებსაც ეხებათ. მათაც შეუძლიათ მეორე უცხო ენის სწავლა წლევანდელი წლიდან დაიწყონ.

• საბაზო საფეხურზე სადამრიგებლო საათი კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის უნარების განვითარებას დაეთმობა. მეცხრე კლასიდან მოსწავლეებს სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელი დაეხმარებათ მომავალი პროფესიის არჩევაში. სამინისტრო სრულად დააფინანსებს მოსწავლეების სხვადასხვა პროფესიულ ობიექტზე გაყვანასა და საქმიანობების სპეციფიკის უშუალოდ ადგილზე გაცნობას. დამრიგებელი კი აღნიშნული საქმიანობისთვის ხელფასზე დანამატის სახით 25 ლარს მიიღებს.

• ახალი სასწავლო წლიდან უნდა გაიზარდოს მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. ამოქმედდება მშობლის განათლების პროგრამა. პედაგოგსა და მშობელს შორის კომუნიკაციის ფორმატი გაიწერა ეროვნული სასწავლო გეგმის გზა-მკვლევარში. დოკუმენტი 15 სექტემბრის შემდეგ გახდება საჯარო. მასში ზუსტად იქნება აღწერილი როგორ უნდა იმუშაოს დამრიგებელმა მშობელთან, რათა ეს უკანასკნელი უკეთ ამყარებდეს კომუნიკაციას შვილთან.

• მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის პროგრამის პილოტირება დასრულდა. ამჟამად პროგრამაში ჩართულია 500 სკოლა. რაც შეეხება სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, სრულდება 400-მდე სკოლის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სექტემბრიდან ფუნქციონირებას დაიწყებს 2 ახალი სკოლა. 2014 წლის ბოლოს კი ექსპულატაციაში შევა კიდევ 6 ახალი სკოლა. დასრულებულია პროექტირება და შესწავლილია გრუნტის ვარგისიანობა კიდევ 8 ახალი სკოლის მშენებლობისთვის. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის აღჭურვას: სკოლების უმეტესობაში ახალი დაფების, ახალი მერხებისა და სკამების მიწოდება მიმდინარეობს.

8

კ ა ნ დ ი დ ა ტ ი

თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებში პასუხისმგებელ პირებად დაინიშნენ:

ზვიად ბუკია–

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად

დაიბადა 1973 წელს.

1995 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი–ეკონომისტის კვალიფიკაციით.

სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის საწარმო გაერთიანება „ისან“–ში, ხობის რაიონის გამგეობის ეკონომიკის განყოფილების მთავარ სპეციალისტად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსად.

გავლილი აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური, რეზერვისტთა მოსამზადებელი კურსები.

2006 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

ფლობს სერთიფიკატებს: „პერსონალური კომპიუტერის მომხმარებელი,“ „ორგანიზაციის მართვა,“ „პროექტების წერა,“ „სახელმწიფო ადმინისტრირების პროგრამის სრული კურსი.“

ანტონ ვარდია–

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსად

დაიბადა–1959 წელს.

1982 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშობდა „საქსოფტექნიკის“ ხობის გაერთიანების უფროს ეკონომისტად, საქართველოს ალკკ ხობის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ხობის ნავთობბაზის მთავარ ინჟინრად, ახალი ხიბულის კოლმეურნეობის და ს/მეურნეობის „კოლხეთის“ პარტიული კომიტეტის მდივნად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხობის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ უფროსად, იყო ორგანიზებულ დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი. მუშაობდა საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის უფროს ინსპექტორად, შემოსავლების სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის უფროს ინსპექტორად, შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორად და უბნის ინსპექტორების სამმართველოს უფროს ინსპექტორად. 2010 წლიდან მუშაობდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის განყოფილების უფროსად, შემდეგ სამსახურის უფროსად.

არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ბესიკ ნაჭყებია–

მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსად

დაიბადა 1970 წელს.

1995 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი წარმოების პროცესთა მექანიზაციის კვალიფიკაციით. სხვადასხვა დროს იყო ს/ს „კოლხეთი“– ავტო-სატრაქტორო პარკის ბრიგადირი, ნოჯიხევის ჩაის ფაბრიკა-ჩაის პლანტაციის მენეჯერი, ხობის რაიონის გამგეობის აპარატის მთავარი სპეციალისტი, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი, საკრებულოს აპარატის უფროსი, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე, გამგეობის აპარატის უფროსი, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს–ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო–საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

მინდია ნაჭყებია–

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსად

დაიბადა 1987 წელს.

2008 წელს დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, ფლობს მაგისტრის სამეცნიერო ხარისხს. მუშაობდა სსიპ. სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ზუგდიდის სოციალური სამსახურების ცენტრის იურისტად. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური მეურვეობა-მზრუნველობის საბჭოს წევრად, არასამთავრობო ორგანიზაციის „სათემო ცენტრის“ გამგეობის წევრად.

ფერიდე გოგია–

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსად.

გრიგოლ თოდუა–

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების უფროსად.

გიგა დანელია–

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქმშენებლობის განყოფილების უფროსად.

მარინა რუხაძე–

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსად.

მალხაზ იოსავა–

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური პროგრამების მართვის სტატისტიკური აღრიცხვისა და ტრანსპორტის რეგულირების განყოფილების უფროსად.

ხობში სიმინდის გადამამუშავებელი საწარმო შეიქმნება

საქართველოს პარლამენტის წევრის ხობის მაჟორიტარი დეპუტატის, გოდერძი ბუკიას თაოსნობით ქალაქ ხობში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, სიმინდის მარცვლის გადამამუშავებელი და ზეთის მწარმოებელი საწარმო შეიქმნება. პროექტის ავტორი და ინიციატორია შპს საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია „ქარვა“, შემსრულებელი შვილობილი კომპანია ხობში შპს „კოლხა.“

თანამედროვე მსოფლიოში სიმინდის გადამუშავება ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად მიიჩნევა, რადგან მისი ეფექტური გამოყენებით იქმნება პროდუქციის დიდი სპექტრი: უმაღლესი ხარისხის ზეთი, ფქვილი, კომბინირებული საკვები, სახამებელი, გლუკოზა, სხვადასხვა საკვები ინგრედიენტები, ბიოეფექტური საწვავი, ზემოთხსენებული დარგის მიზნად მიიჩნევა მაქსიმალური სარგებელის მიღება სოფლის მეურნეობის პროდუქციისგან, რაც თავისთავად ზრდის წარმოების ეფექტურობას, დასაქმებას და პროდუქციის ასორტიმენტს. სიმინდის მარცვლისგან მიღებული პროდუქცია გამოირჩევა უმაღლესი ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

რაც შეეხება სიმინდის ზეთს, იგი მიიღება სიმინდის ჩანასახისგან. სიმინდის ზეთი უხვად შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომელიც გამაახალგაზრდავებელ და გამაჯანსაღებელ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, უნივერსალურია კულინარიაში, ფართოდ გამოიყენება თევზის, ხორცის, ბოსტნეულის შესაწვავად და საკონდიტრო წარმოებაში, ის არ ქაფდება, არ იწვის, არ წარმოქმნის კანცეროგენულ ნივთიერებებს, რის გამოც ფასობს დიეტურ და საბავშვო კვებაში. პროექტის განსახორციელებლად ქალაქ ხობში დაგეგმილია, თანამედროვე ტექნოლოგებით აღჭურვილი (როგორც საწარმოო ხაზი, ასევე ლაბორატორია) 600 კვ/მ საწარმოო და 1300კვ/მ სასაწყობო მეურნეობის აშენება, რომლის საწარმოო სიმძლავრე გათვლილი იქნება 50 ტონა სიმინდის მარცვლის გადამუშავებაზე დღე-ღამეში და დასაქმდება 65-85 ადამიანი (ძირითადად ადგილობრივი მოსახლე). წლიური ბრუნვა საწყის ეტაპზე წელიწადში 5-6 მილიონი ლარი.

პროექტის ღირებულება (საინვესტიციო თანხის მოცულობა) შეადგენს 1 000 000 აშშ დოლარს. გარდა საქართველოს მოსახლეობისთვის უმაღლესი ხარისხის ზეთის წარმოებისა და რენტაბელური საწარმოს შექმნისა, პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი, სიმინდის მარცვლის მაქსიმალურად ეფექტურად და სრულად ათვისების პრეცენდენტის დანერგვას.

პარალელურ რეჟიმში იხსნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცხოველის საკვების საწარმო, რომელიც განთავსდება ხობის მუნიციპალიტეტში; აღნიშნული საწარმო იქნება გულგამოცლილი სიმინდის მარცვლის ერთ-ერთი მომხმარებელი. მისი სიმძლავრე იქნება დღე-ღამეში/60-70 ტონა ცხოველის საკვების წარმოება. დასაქმდება საშუალოდ 70 ადამიანი. პროექტის ღირებულება არის 450 000 აშშ დოლარი. წლიური ბრუნვა საწყის ეტაპზე წელიწადში 8-9 მილიონი ლარი.

პროექტებში გათვალისწინებულია ნედლეულისა და გასაღების ბაზრების, წარმოებისა და გაყიდვების სტრატეგიის სრული ანალიზი.

ზემოთხსენებული საწარმოები სტიმულირებას გაუწევენ მომიჯნავე ტერიტორიებზე, სიმინდის გადამუშავების სხვა საწარმოების შექმნას.

„ყოველი ადამიანი თავად ქმნის საკუთარ თავს და ცხოვრებას“

ედიშერ ჯობავა–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ინტერვიუ

ბატონო ედიშერ! სულ რამდენიმე თვეა, რაც საკრებულოს თავმჯდომარე ბრძანდებით, ხომ არ გვეტყვით, ამ მოკლე დროში რა შეიცვალა, მოლოდინმა გაამართლა?

–მოგესალმებით, მივესალმები თქვენი გაზეთის მკითხველებს. მიუხედავად მცირე დროისა, მინდა გითხრათ, რომ საკრებულოში შეიქმნა გუნდი, რომელთაც გათავისებული აქვთ მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები. იმის მიუხედავად, რომ დეპუტატთა უმრავლესობა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში პირველად არის წარმოდგენილი, მათივე პოზიციებს, კარგად და ნაყოფიერად შეეწყვნენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტორი აუცილებლად ჰპოვებს ასახვას ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობაზე, პირადად მე კი, პროფესიონალ გუნდთან ერთად მუშაობა გამიადვილებს ჩემზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

მომავალშიც და დღესაც, ქვეყანაში არსებული დემოკრატიული პროცესების გათვალისწინებით, საკრებულოში ყველას ეძლევა საშუალება საკუთარი მოსაზრებები გამოხატოს, მიიღოს მონაწილეობა დებატებში, კენჭისყრის დროს გამოხატოს პოზიცია მისივე შეხედულებისამებრ, დასვას საკითხი სხდომაზე განსახილველად და ა.შ. ეს კანონით ადრეც იყო განსაზღვრული, თუმცა განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანების მიმართ თუ რა ზომებს როგორი მეთოდებით იღებდნენ, ამაზე ბევრჯერ თქმულა და მეც მისაუბრია.

საკრებულოში განსხვავებული პოლიტიკური ხედვის მქონე ადამიანების სიმცირე ნამდვილად არ არის, დეპუტატებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ თავიანთი საქმიანობა წარმართონ კანონის ფარგლებში. პირადად ჩემთვის საკრებულოში მუშაობა არ არის უცხო, ადრეც გახლდით საკრებულოს წევრი, თუმცა დღეს, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს, სხვა პასუხისმგებლობა მაკისრია და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მოსახლეობა, ამომრჩეველი, ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე მიღებული გადაწყვეტილებით არ იყოს უკმაყოფილო. თუმცა ძნელია ყველა პრობლემის ერთბაშად მოგვარება, ისე რომ ყველა პიროვნება იყოს კმაყოფილი, ალბათ, მომავალშიც იქნებიან უკმაყოფილო ადამიანები, მაგრამ მთავარია საზოგადოების დიდი ნაწილის ნდობა გავამართლოთ, არის საკრებულო ახალი გუნდით, ახლებური ხედვების მქონე პიროვნებებით დაკომპლექტებული და თქვენი კითხვის პასუხად ვიტყოდი, რომ საკრებულო შედგა, რამდენად ეფექტური იქნება იგი, ამას მომავალი გვიჩვენებს. როგორც იცით, სიახლეა ისიც, რომ პირველად მოხდა მუნიციპალიტეტის გამგებლის პირდაპირი წესით არჩევა, მე და გამგებელი ბატონი გოჩა ქაჯაია ვართ ერთი გუნდის წევრები, მეგობრები. გამგეობასა და საკრებულოს შორის ურთიერთობა ისეთია, როგორიც არასდროს, დარწმუნებული ვარ ეს გასაკეთებელ საქმეებშიც ჰპოვებს ასახვას, გვაქვს საერთო მიზნები და ამოცანები მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გავკადნიერდები და გკითხავთ, რამ განაპირობა თქვენი ყოფნა პოლიტიკაში და, რაც მთავარია, დღეს ნანობთ თუ კმაყოფილი ხართ თქვენი გადაწყვეტილებით?

–ადრეც მითქვამს და ეხლაც მინდა აღვნიშნო, ყველა გადაწყვეტილების უკან გარემოებები დგას. ყოველი ადამიანი თავად ქმნის საკუთარ თავს და ცხოვრებას. მთავარია გესმოდეს და იცოდე რა გინდა ამ ცხოვრებისგან. თუ გინდა წარმატება, შენი მონაწილეობით ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წილის დადება, მაშინ უნდა შეხედო მიზეზებს და არა შედეგებს. შენი დღევანდელი შედეგები, შენი გუშინდელი მიზეზების დამსახურებაა, მე ამას ასეთნაირად ვხედავ. წინააღმდეგობა ბევრი მქონია და შეიძლება გარკვეულწილად დღესაც მაქვს, მაგრამ ჩემთვის ეს არ არის შეჩერების საფუძველი, პირიქით, წინააღმდეგობა მიქმნიდა და მიქმნის განვითარების გარკვეულ საფუძველსაც.

პოლიტიკაში ჩემი მოსვლა იწყება 2001 წლიდან, ვიყავი პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ხობის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე. 2009 წელს შეიქმნა კოალიცია „ალიანსი საქართველოსთვის“, სადაც ზემოთხსენებულ პარტიასთან ერთად იყო ორი პოლიტიკური სუბიექტი, მათ რაიონულ შტაბს ვუწევდი ხელმძღვანელობას, სწორედ ამ პერიოდში ვიყავი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რა დროსაც მოხდა ჩემი უკანონო დაკავება... ვინც მე და ჩემს ოჯახს იცნობს, ყველამ იცის ამ დაკავებას წინ რა უძღოდა, ესეც რომ არ იყოს, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნაში მოხვდა ჩემი საქმე, როგორც პოლიტიკური მოტივაციის მქონე, არაერთი სიუჟეტი გაკეთდა და სამწუხაროა, რომ მაინც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ეს თემა განსახილველად წამოსწიეს და ჩემი დისკრედიტაციის მიზნით სასპეკულაციოდ გაიხადეს. ყველა მასალა, დოკუმენტალური, ფოტო, ვიდეო თუ სხვა დასკვნები და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიში თან გამაჩნია, შემიძლია ასლები გადავცე ყველა დაინტერესებულ პირს.

ობიექტური მიზეზების გამო ამის შემდგომ მქონდა მცირედი პაუზა, ვიდრე პოლიტიკაში ბატონი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდებოდა, როდესაც დავინახე ქვეყნის გადარჩენისა და განვითარებისკენ მიმართული რეალური პოლიტიკური ძალა („ქართული ოცნების“ გუნდს ვგულისხმობ), მივიღე გადაწყვეტილება დავბრუნებულვიყავი პოლიტიკაში, რადგან ამ გუნდში იყვნენ და დღესაც არიან ის ადამიანები, რომლებთანაც დავიწყე პოლიტიკური საქმიანობა, მათ კარგად ვიცნობდი და ყველანაირად ვენდობოდი, ამის შემდგომ, როდესაც შეიქმნა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ პატრიოტ ხობელებთან ერთად დაგვეფუძნებინა რაიონული ორგანიზაცია. შემდგომ, საპრეზიდენტო არჩევნებში, ჩვენმა რაიონულმა შტაბმა ღირსეული შედეგი დადო, ხოლო ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე, ჩვენი შედეგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო რეგიონში, ასე, რომ გადაწყვეტილება–პოლიტიკაში ვყოფილიყავი, არ მაქვს სანანებლად, მითუმეტეს, ყოველთვის იმ გუნდთან ვიყავი და ვარ, სადაც გუნდური პრინციპით მოქმედება ამოსავალი წერტილია.

თქვენი ნება რომ იყოს, ცხოვრებაში რას შეცვლიდით?

–ალბათ ბევრს არაფერს, მადლობელი ვარ უფლისა, ყველაფრისათვის... რაც გამაჩნია და რაც არა, ყველაფერი უფლის ნებით ხდება... მთავარია დავიმსახუროთ მისი შემწეობა და მფარველობა...

ხობში ყველა იცნობს თქვენს ოჯახს, მშობლებს, გაიხსენეთ ყველაზე მძიმე და ყველაზე კარგი დღე თქვენი ცხოვრებიდან?

–ჩემი და ჩემი ოჯახის ტკივილი, ჩემი ძმის ავადმყოფობაა. რაც შეეხება მშობლებს, ისინი ღირსეულად ემსახურნენ ქვეყანას და ჩვენს რაიონს, თუკი რამ სიკეთე გამაჩნია, ეს მათი დამსახურებაა, მამის მშობლები კი, (ღმერთმა ნათელში ამყოფოთ), ნამდვილი გმირები იყვნენ, რადგანაც წინა საუკუნის ორმოციან წლებში ექვსი შვილი აღზარდეს (ყველამ წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი) ეს არ იყო ადვილი იმ დუხჭირ ყოფაში. მათ ჩემს აღზრდაშიც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი, თავს ვალდებულად ვთვლი სწორედ მათი სახელის უკვდავსაყოფად, ხალხის საკეთილდღეოდ ყველაფერი გავაკეთო.

ყველაზე მხიარული დღე კი, ალბათ, ყველასათვის პირველი შვილის დაბადებაა, იმ გრძნობას, როცა მამა ხდები, ვერაფერი შეცვლის.

იმისათვის რომ წარმატებას მიაღწიო, რა არის მთავარი–განათლება, მონდომება, პრინციპულობა თუ პასუხისმგებლობის გრძნობა?

–ყველაფერი ერთად და დავამატებდი–უფლის მფარველობა.

ბატონო ედიშერ, გთხოვთ გაგვიმხილოთ სამომავლო გეგმები, რას უნდა ელოდოს მკითხველი უახლოეს მომავალში?

–ქვეყანაში შეცვლილია ბიზნეს გარემო და ახლო მომავალში ეს ჩვენს მუნიციპალიტეტსაც შეეტყობა, რადგანაც არის მზაობა სხვადასხვა მიმართულებით, რამოდენიმე საწარმოს შექმნისა, ბიზნეს აქტიურობის კუთხით დაინტერესება დიდია სოფლის მეურნეობაში, ჩვენ, მოგეხსენებათ, აგრარული რაიონი ვართ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სინძიანის პროვინციის ხელმძღვანელობის მიწვევით, საქართველოს დელეგაციის ვიზიტიც, რომლის შემადგენლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ბატონ ოთარ დანელიასთან ერთად, სამეგრელო–ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორი ბატონი ლევან შონია იყო, ჩვენი კუთხის ეკონომიკური განვითარებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 25 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის, მეთევზეობის, მეცხოველეობის, მეჩაიეობის, სამაცივრე მეურნეობის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და აგრო-ტურიზმის მიმართულებით. ყველაფერი კეთდება იმისათვის რომ მოსახლეობას შეუმსუბუქდეს ცხოვრება, ასე რომ უნდა ველოდოთ მეტ სამუშაო ადგილებს, ადამიანების დასაქმებასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს რეალობაა.

მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეთა ატესტაციასა და მომავალ რეორგანიზაციაზე რას იტყვით?

–ეს პროცესი კანონის შესაბამისად წარიმართება, რომლის მიზანია პროფესიონალი კადრების გამოვლენა, მოზიდვა, წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი არაეფექტური საშტატო ერთეულის გაუქმება და შედეგზე ორიენტირებული გუნდის ჩამოყალიბება, ეს არ იქნება ისე, რომ სამსახურში პროფესიონალ „უცხოს“-არაკომპეტენტური „მეგობარი“ ვამჯობინოთ, ორგანიზაცია ქსელებით ჩავანაცვლოთ, გავრიყოთ ყველა, ვინც ჩვენს ჯგუფს არ ეკუთვნის, რაც, სამწუხაროდ, ადრე ხდებოდა.

და ბოლოს, როგორი გინდათ იხილოთ გაზეთი „ხობის მოამბე?“

–თქვენი გაზეთი, ხობის მუნიციპალიტეტში, ერთადერთი ბეჭდური საინფორმაციო საშუალებაა. იმისათვის, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ დროულად და ოპერატიულად მიიღოს დაწვრილებითი ინფორმაცია არსებულ სიახლეებთან და მოვლენებთან დაკავშირებით, გაეცნოს მიმდინარე თუ განსახორციელებელ პროექტებს. სიახლეებს წარჩინებული თუ წარმატებული ხობელების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოების უფრო მეტ აქტიურ ჩართულობას თვითმმართველობის საქმიანობაში და აამაღლებს ნდობის ხარისხს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. მიმაჩნია, რომ ეს არის ყველა ხელისუფლების წარმატების უტყუარი საფუძველი და ამაზე ჩვენს გუნდს თამამი პრეტენზია გვაქვს.

მინდა გისურვოთ მკითხველების უფრო ფართო აუდიტორია და დიდი წარმატებები, როგორც თქვენ, ასევე მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს!

ესაუბრა
მერი ლაგვილავა.

„თუმცა ძნელია ყველა პრობლემის ერთბაშად მოგვარება, ისე, რომ ყველა პიროვნება იყოს კმაყოფილი, ალბათ, მომავალშიც იქნებიან უკმაყოფილო ადამიანები, მაგრამ მთავარია საზოგადოების დიდი ნაწილის ნდობა გავამართლოთ, არის საკრებულო ახალი გუნდით, ახლებური ხედვების მქონე პიროვნებებით დაკომპლექტებული და თქვენი კითხვის პასუხად ვიტყოდი, რომ საკრებულო შედგა, რამდენად ეფექტური იქნება იგი, ამას მომავალი გვიჩვენებს“.

„ყველა გადაწყვეტილების უკან გარემოებები დგას. ყოველი ადამიანი თავად ქმნის საკუთარ თავს და ცხოვრებას. მთავარია გესმოდეს და იცოდე რა გინდა ამ ცხოვრებისგან. თუ გინდა წარმატება, შენი მონაწილეობით ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წილის დადება, მაშინ უნდა შეხედო მიზეზებს და არა შედეგებს.“

იუბილე მერი აბრამია–85

ქალბატონო მერი, მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოგილოცოთ 85 წლის იუბილე. გულწრფელად ვაღიარებ, რომ თქვენს მიერ ლამაზად განვლილი ცხოვრების გზა სანიმუშოა ყველა მოკვდავთათვის... ესაა გზა უფლისაგან მონიჭებული სიცოცხლის დაფასებისა, რომელიც თქვენი მოღვაწეობის პერიოდში, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე წარმოჩენილია მრავალმხრივი შემოქმედებით, რომელსაც დღემდე ახორციელებთ მაღალი პროფესიონალიზმით, უდიდესი პასუხისმგებლობით, დაუზარებლად, საოცარი ენერგიით, ინტერესით, სიყვარულით,სიხალისით,კეთილსინდისიერებით. თქვენ ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით, რამეთუ უფალმა დაგაჯილდოვათ, არა მარტო ნიჭიერებით, არამედ მშვენიერებითაც... თქვენნაირი ადამიანები ალამაზებენ და საინტერესოს ხდიან ცხოვრებას- ასეთი აღიარება საზოგადოებისგან თქვენ დიდი ხანია დაიმსახურეთ და ვალმოხდილი ხართ ქვეყნისა და უფლის წინაშე. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

ედიშერ ჯობავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

იშვიათია ადამიანი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ათეულობით წლის განმავლობაში ღირსების, ნიჭიერების, სიმტკიცის სიმბოლოდაა მიჩნეული. ამ იშვიათთაგან ერთ- ერთია ქალბატონი მერი აბრამია, რომელსაც სწორედ მისი რუდუნებით, მისი ჯალმით მრავალჯერ დამშვენებული გაზეთის ფურცლებიდან ვულოცავთ იუბილეს.

პოეტის, ჟურნალისტის, საზოგადო მოღვაწის, მრავალთა მეურვის, ქველმოქმედი და შემოქმედი ქალბატონის ცხოვრების თითოეულ წელიწადს თითო წარმატება და თითო სიახლე ახალგაზრდული შემართებით მოაქვს. ხობელობა მისი ღირსებაა და სამშობლო ღირსების საზომი, ამგვარად შექმნა მრავალმხრივ საინტერესო ისტორია, რითაც ამაყობენ ხობელები.

ვუსურვებ ქალბატონ მერის სიტყვის ჩვეულ უდრეკობას, მომავალი თაობების მისაბაძ მაგალითად მრავალ წელს სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებას.

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

„მისგან უკეთეს დაგვრჩა სახსოვარი“...

,,მინდა ვიცოცხლო, ვიშრომო, შევქმნა!“

„ადამიანმა ისე უნდა იცხოვრო, საზოგადოებამ, რომლის წევრიც ხარ, უკანასკნელ გზაზე ცრემლით და სინანულით გაგაცილოს; თუ ეს ასე არ მოხდა, ესეიგი არც აქამდე ყოფილხარ ცოცხალი.“ ეს სიტყვები 85 წლის ქალბატონს, ხობელებისთვის, და არა მარტო ხობელებისთვის, კარგად ნაცნობ პირთვნებას, მუნიციპალიტეტის სასიქადულო შვილს, ქალბატონ მერი აბრამიას ეკუთვნის. მისი სტუმრობა რედაქციაში მუდამ სიხარულის მომგვრელია, ასე იყო ამჯერადაც, ჩვეული ომახიანობით შემოაღო კარები, სავარძელში მოკალათდა და ჩვეული ინაწყლიანობით საინტერესო ისტორიების მოყოლას შეუდგა. შესანიშნავ მოქართულეს, მდიდარი ლექსიკის, თხრობის ნათელი და მარტივი სტილის მქონეს, არ შეიძლება უცქირო და უსმინო, ისე, რომ არ გაიფიქრო წლოთა სიმრავლეს მისთვის არადაუკლია რაო. ულრეკი სასიათი, შეუპოვრობა, დიდი სიყვარულის უნარის მქონე, ამპარტავანი და კაცთმოძულე არასდროს ყოფილა, მუდამ სიყვარულის მთესველი იყო.მის მიერ განვლილი გზა ფიანდაზებით არ ყოფილა მოფენილი. უდედმამოდ გაზრდილს, მშობლების ყურადღებას მოკლებულს, მტკიცე და ურყევი სასიათი ჩამოუყალიბდა. საუბრისას გავიგე, რომ სექტემბრის 11-ში ქალბატონ მერის იუბილე აქვს. მის მიმართ პატივისცემამ და სიყვარულმა მასთან ინტერვიუს ჩაწერა გადამაწყვეტინა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ შევმიდე ჩემი განზრახვა გამენდო, რაზეც სიხარულით დამთანხმა.

ქალბატონო მერი, იუბილეს გილოცავთ! ნიჭიერ და კეთილშობილ პიროვნებას მინდა გისურვოთ დიდი ხნის სიცოცხლე, ჯანის სიმრთელე, ლამაზ დღეთა სიუხვე და ახალი წარმატებები.

–გმადლობთ, ნინო, სამადლობელს ლექსად გეტყვი, ეს ლექსი საკუთარ თავს მივუძღვენი. აი, „საიუბილეოდ თქმული“.

„ჩუმად გეტყვი,
ოთხმოცდახუთს დავუქნიე
ხელი,
გამიფრინდა გაზაფხული,
სილამაზე მწველი.
უკან დამრჩა სინარნარე,
სიკეკლუცე დღეთა,
ჩემი ცელქი სულის წვა და
ცხელი გულის ფეთქვა.
ღვთის განგებით,
ოთხმოცდახუთს მივუხურე
კარი,
მაგრამ გულში ისევ
მძლავრობს
შენი ტრფობის ქარი.
ოთხი ოცი რას დამაკლებს,
როცა გრძნობით ვიწვი,
როცა მჯერა,სულო ჩემო,
შენი წრფელი ფიცის.
დარჩი ჩემთან, ერთად
ვთვალოთ,
კიდევ ოცი წელი...
დარჩი ჩემთან, გავაახლოთ
სიყვარული ძველი.“

ძალიან ლამაზი და თბილი ლექსია. გმადლობთ. ახლა კი მოდით, ერთად ვიმოგზაუროთ წარსულში... დავიწყოთ ბიოგრაფიული შტრიხებით...

–დავიბადე 1929 წლის 11 სექტემბერს, ხორგაში. დედაჩემი თავადის, ლავრენტი ჩიქოვანის ქალიშვილი იყო, მამა-საშა (ალექსანდრე) აბრამია,–ღარიბი აზნაურის, მიხა აბრამიას–ვაჟიშვილი. სკოლის მერხიდან ჰყვარებიათ ერთმანეთი. ძალიან ახალგაზრდები დაქორწინებულან: დედაჩემი თხუთმეტის, მამა 16 წლისანი ყოფილან. გაკვეთილების შემდეგ ნავში ჩამსხდარან და „საქორწინო მოგზაურობა“ შუა ხორგაში, ერთ მიტოვებულ საბძელში დაუმთავრებიათ. 19 წლისას დედაჩემს სამი შვილი ჰყოლია. ბებიაჩემს თავიდანვე აუთვალისწუნებია მამაჩემი და იმდენი უქნია, ჩემი მშობლები ერთმანეთისთვის დაუშორებია.

მამიდამ გაგვზარდა. სამნი ვიყავით, უმცროსი, თამილა, დედას წაუყვანია. იგი ექვსი წლისა, წითელა ბატონებით გარდაცვლილა.

მამაჩემს თბილისის საგზაო ტექნიკუმი დაუმთავრებია და ხობში დაბრუნებულა.

სკოლის წლები და პირველი მასწავლებელი...

–1936 წელს ხობის საშუალო სკოლაში შემიყვანეს, ჩემი პირველი მასწავლებლები ქალბატონები პელო ჩაჩიბაია და კატუშა ჩოკორაია იყვნენ. არასდროს დამავიწყდება მათი ამაგი. ვებრალებოდით უდედოდ რომ ვიზრდებოდით, დედა იშვიათად ჩამოდიოდა, მახსოვს სკოლის ჭიშკართან შიშით ვხვდებოდით და ცრემლებით ვეფერებოდით მას...

ნიჭიერები ვიყავით. მე სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, ჩემმა დამ, კლარამ, ვერცხლის მედალი აიღო.

ყმაწვილქალობა და სტუდენტობის წლები?

–გამწარებული ყმაწვილქალობა გვქონდა. დედა გათხოვდა, მამამ ცოლი შეირთო. არც ერთი მათგანი ჩვენზე არ ზრუნავდა. საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გავხდით, მე ფილოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრე, კლარამ-ჟურნალისტიკისა. წარჩინებული სტუდენტები ვიყავით.

როდის გეწვიათ პირველი სიყვარული?

–სტუდენტობისას, მესამე კურსი დავამთავრე დ ჩემს თანაკლასელ ოთარ წურწუმიაზე გავთხოვდი. საოცრად თბილ და სიყვარულით სავსე ოჯახში მოვხვდი. მათ შემიცვალეს მშობლები. მეუღლეც ოჯახისმოყვარული მამა და კეთილსინდისიერი ადამიანი იყო.

სამი შვილი მყავს. უფროსი, თამაზი, ინჟინერია, შუათანა ბესარიონი (ბესო) იურისტია, უმცროსი მაია, ექიმია. სამივე დაოჯახებულები არიან, ვაჟებს შვილები და შვილიშვილები ჰყავთ, მაიას ერთი ვაჟი ჰყავს, ლოსანჟელესში ცხოვრობენ.

თქვენი ყველაზე დიდი ნოსტალგია...

–დღემდე მოუშუშებელ ჭრილობად მრჩება უდიდესი ნოსტალგია–მშობლების უგულისყურობაზე, ჩემი ოცნებებიდან თუ რამ დამრჩა განუხორციელებელი, ჩემი მშობლების უყურადღებობას ვაბრალი. ახლა, როცა მათ საფლავზე მივდივარ, ორად გახლეჩილი გრძნობით სულშეძრული ხან ვეფერები, ხან კი ვსაყვედურობ მათ,–მიტოვებული შვილი ვარ, მაგრამ მაინც მიყვარს ისინი, ცრემლებით ვასველებ მათ სამარეს.

თქვენი სოფელი გურიფული...

–ვფიქრობ, ნორმალური, აქტიური ცხოვრებით ვიცხოვრე. უკან მოხედვის არ მეშინია, ყველგან, ყოველთვის ვცდილობდი ჩემი მოვალეობა კეთილსინდისიერად მეკეთებინა. მყავს სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი, ხუთი ბადიში, სამი რძალი, ორი სიძე, სულ ცხრამეტნი დავრჩით. ჩემი მეუღლე 22 წლის წინ ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში შვილებთან, შვილიშვილებთან, მათ ოჯახებში შემიძლია უზრუნველად ვიცხოვრო, აქ, ჩემს სოფელში, გურიფულში, სადაც ჩემი ოჯახის წევრების საფლავებია, მინდა ჩემი დარჩენილი ცხოვრება გავატარო, მათ გვერდით გაიჭრას ჩემი საფლავიც. ამიტომ ვარ დღეს აქ.

გზა, რომელიც დღემდე გამოიარეთ, არ ყოფილა იოლი, საზოგადოება წარმატებულ და ძლიერ ქალბატონად გიცნობთ. ეს გზა, რომ თავიდან გქონდეთ გასავლელი, ისევ ისე გაივლიდით თუ შეცვლიდით რამეს?

–მუდამ ვცდილობდი მყარად ვმდგარვიყავი ფეხზე. ამაში ჩემი მშობლები „დამეხმარნენ“, დამოუკიდებლად ვწყვეტდი პრობლემას. გზა, რომელიც გავიარე, წარმატებული იყო ჩემ-

5

იუბილე მერი აბრამია–85

4

თვის. ახლა, როცა გზის დასასრულს შევუდექი, მინდა თვალი გადავავლო მას; დავიწყე მასწავლებლობით. ჩქარა კომკავშირულ სამუშაოზე გადამიყვანეს. შემდეგ დიდხანს რაიონულ გაზეთში ვიმუშავე, ჩვენს გაზეთს მაშინ „სოციალიზმის მშენებელი“ ერქვა. ჩემი წინადადება მიიღო კომპარტიის ხობის რაიონულმა კომიტეტმა და, რაკი ვთვლიდით, რომ სოციალიზმი უკვე

ტომბრის რაიონის რაისაბჭოს აღმასკომის მდივნად, სამკერვალო გაერთიანების პარტკომის მდივნად, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილედ, კვების მრეწველობის სამინისტროსა და დამზადების სამინისტროებში განყოფილების უფროსად. არჩეული ვიყავი საქალაქო საბჭოსა და რაიონული საბჭოების დეპუტატად, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის წევრად, საქართველოს კომპარტიის 24-ე ყრილობის დელეგატად. მისი სა-

„მინდა ვიცოცხლო, ვიშრომო, შევქმნა!“

ავაშენეთ, გაზეთს „კომუნიზმის მშენებელი“ დაერქვა. კომკავშირულ საქმიანობაშიც ვთქვით ჩვენი სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ხობში არ იყო არც ერთი სკოლისგარეშე დაწესებულება (გარდა საბავშვო ბაღისა), ერთ-ერთი

ღონისძიების შესრულების საქმეში ქვეყანაში პირველ ადგილზე გავედით და, კომკავშირის ცეკამ ხობში პიონერთა სახლი გახსნა. ასე გაჩნდა ჩვენთან პიონერთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომელიც ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელით წარმატებით მუშაობს. სამოციან წლებში საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის მდივნად, შემდეგ მეორე მდივნად ამირჩიეს. 1963 წელს ჩვენი რაიონი ზუგდიდს მიუერთეს, მე თბილისში გადამიყვანეს. ჩემი ცხოვრება დედაქალაქში წარმატებული აღმოჩნდა: სხვადასხვა დროს ვიმუშავე ქ. თბილისის ოქმანდატო კომისიის წევრად. ბოლო წლებში დავინიშნე ვაჭრობის სამინისტროს ქ. თბილისის სურსათვაჭრობის ტრესტის მმართველად.

მუდმივად ვიბეჭდებოდი ქართულ პრესაში. გამოცემული მაქვს სამი რომანი. გამოსაცემად მზადა მაქვს რომანი „სიყვარულს ასაკი არა აქვს,“ გამოვეცი ლექსების კრებულიც.

არჩეული ვარ „მეცნიერთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, აკადემია „ფაზისის“ ნამდვილ წევრად. 2013 წლიდან ვარ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

კმაყოფილი ვარ ჩემი განვლილი გზით.

რას უსურვებდით თქვენს საყვარელ ხობელებს, თქვენი სოფლის მოსახლეობას?

–მადლობელი ვარ ამ კითხვის დასმისთვის.

მე ხობელი ვარ, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, აქ დავიწყე მოღვაწეობა. აქ დაიბადნენ ჩემი შვილები. ესაა ჩემი ოდაბადე! ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი, გურიფული! ჩემი ძვალშესალაგიც აქ იქნება, ჩემი მეუღლის გვერდით. რითაც შემეძლო მუდამ ხელს ვუწყობდი ჩემს მეზობლებს. 1992 წლის აგვისტოდან გურიფულის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად დავიწყე მუშაობა, ვიმუშავე 7 წელი. დავტოვე ეს სკოლა გიმნაზიის ტიტულით. მრევლთან ერთად წმიდა ივლიტასა და კვირიკეს სახელობის ეკლესიის აღდგენა დავიწყეთ, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით აღვადგინეთ საბავშვო ბაღიც, რომელიც 16 წელიწადი არ ფუნქციონირებდა. ალბათ ამიტომ სოფელმაც ჩემდამი პატივისცემა ასე გამოხატა: ყრილობაზე „სოფლის ღირსეული შვილის“ წოდება მომანიჭა.

მინდა ყველას ვურჩიო: სიყვარულით იცხოვრეთ, გიყვარდეთ და გაუღიმეთ ერთმანეთს, ბოღმას და შურს, სიძულვილსა და ბოროტებას ნუ ჩაიდებთ გულში, ხშირად გაიმეორეთ დიდი პოეტის სიტყვები „უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

მიუხედავად იმისა, რომ 85-ს გადავაბიჯე, მინდა ვიცოცხლო, ვიშრომო, შევქმნა! მომსწრე და მონაწილე ვიყო საქართველოს გაბრწყინებისა. მადლობა უფალს, რომ სიყვარულის ნიჭით დამაჯილდოვა. დღემდე უშურველად გავცემ მას. თუ სიყვარულით იცხოვრებთ, დამიჯერეთ, არ დაბერდებით. დიდი მადლობა ყველას, ვინც დაბადების დღე მომილოცა, მიყვარხართ!

ესაუბრა
ნინო გერგაია.

ქედუდრეკი ილიელი და გულმხურვალე ცოტნეიდელი!..

ბედნიერებაა, როცა გვერდით გყავს მერი აბრამია. თავადაც იმედიანად გრძნობ თავს და დაცულად გეგულება ის, რასაც და ვისაც აგრერიგად ელოლიავები: ენა, მამული და სარწმუნოება, რამეთუ იგი ქედუდრეკი ილიელი და გულმხურვალე ცოტნეიდელია. ის მუდამ ამბობს იმას, რაც სჯერა და მიდის იმ გზით, რომელიც მისეული წარმოსახვითა და რწმენით ტაძართან მიიყვანს, სადაც ელოდება „ნათელი ნათელთა და ჭეშმარიტება–ჭეშმარიტებათაი“–უფალი ჩვენი. ამიტომაც არაა მარტივი მერი აბრამია და ამიტომაც ვერ სჯაბნის რუტინული, ყოველდღიური რამეები. ამიტომაც ემსახურება სიტყვას და ბგერათა წყობილებით მიმზეხატაობს წუთისოფლის ოღროჩოღრო ბილიკებზე. მერი აბრამიას როცა ეკითხები–როგორ ხარო, მაშინ სამშობლოს ავკარგიანობასა და მდგომარეობაზეც ამახვილებს ყურადღებას, რადგან ის „მამულხატია“ და დიდი ხანია მისი ყოფით სვეიღბლიანობს. ამიტომაცაა ის გამორჩეული და ლიდერის თვისებებით მოპირთავებული. აი, თუნდაც ლიდერი კალმოსნის გარდა არავინ ცდილობს შემოქმედებით გამოხატოს თავისი აზრი დღევანდელობასთან დაკავშირებით, რაც ჩვენი ხასიათის კომპრომისულობასა და აღმოსავლურ შემგუებლობაზე მიუთითებს. ქალბატონი მერი კი პირუთვნელი და უკომპრომისოა, როცა საქმე უფლისმიერების შელახვასა და დაკნინებას ეხება.

ამასთანავე, ეს დიდებული ქალბატონი უნიჭიერესი ორგანიზატორი, ღვთივკურთხეული კალმოსანი და უტკბილესად და უგონიერესად მოუბარია. თითქოს მასზე უთქვამს რუსთაველს:

„მისივე ხმისა სიტკბოსგან წყლით ქვანიცა გადმოსხდიან“.

კეთილსინდისიერი შრომის, ნამუსიანი პიროფლიანობის შედეგია მისი ასეთი დაფასება ქვეყნის მასშტაბით, მისი შემოქმედების უპირობოდ აღიარება და მშობელი ხალხის განუზომელი სიყვარული.

მე, როგორც ქართული სიტყვის სიჯანსაღისათვის ერთ-ერთი თავგადაკლული ლიტერატორი, ბედნიერი ვარ ქართულ ლიტერატურასა და სასიტყვეთს ასეთი პოეტი და მწერალი რომ ჰყავს, ასეთი მეტაფორულად და ქარაგმულად მოაზროვნე, სულის სარგო რამეების მქარგველი გუთნისდედა!..

მერი აბრამია გახლავთ წაკითხული სიტყვით ტკბობის დიდოსტატიც. მას ესმის „ბგერის წკარუნი და სიტყვათა ბუბუნი“, ძალუძს ენის პერსონაჟად გამოყვანა და მჭევრმეტყველებითი გენით აბობოქრება. ამიტომაც, ის, როგორც შემოქმედი და მოღვაწე თავის თაობაში არ სრულდება, არამედ გრძელდება, მათ შორის ახალგაზრდებიც პოულობენ მასში ნავსაყუდელს. აბა, გავიხსენოთ მისი ლირიკული, მოკლე სუნთქვითა და მუსიკალური გენიით გაღვთიურებული პოეტური ნიმუშები, ოსტატური ხელქმნით ამეტყველებული პროზა.

ჩემთვის მწერლობის საიდუმლო შთაგონებაში კი არ არის, საიდან მოდის დღემდე რომ ვერა და ვერ გამიგია, სიჯიუტესა და მოთმინებაშია. ამაშიც მისაბაძია მერი აბრამია, ის ყველა სიკეთესთან ერთად, სრულყოფილებისკენ მსწრაფველია და ამას მთელი ცხოვრებით ამტკიცებს, ბობოქარი, დაუმორჩილებელი ცხოვრებით. ამიტომაც ვერ წარმომიდგენია, მიუხედავად ასაკისა და მხცოვანებისა, ლეღვის ჩრდილში ბუსნოზე მჯდარი მერი აბრამია–ჩხუტში შესადღვებად ჩაყენებული რძის მდღვებავი, ან შვილიშვილებისთვის წინდების რულმორეულად მქსოველი. ის ქარიშხალია ადამიანად, უფრო სწორად, ქალად ქმნილი და „ერდოზე არ შემოდგება, სისხლი აქვს არა მდგომისა...“

უი, მგონი კალამი გამექცა და ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, დედასავით ტკბილსა და იმედძალიანს უცხოსავით ვესიტყვები. მომიტევე, მერი დეიდა, ჩემო თვალებბრიალა ქალამზეო, დაბადების დღეს გილოცავ, მრავალს დაესწარი მხნეობითა და ჯანსიკეთით, გონსისხარტითა და ხმამაღლობით. იცი კარგად, როგორ უნდა ესაუბრო კაცსაც და ღმერთსაც, როგორ მიეახლო საცისკროს ზეცის და იარე, იბუბუნე, იგუგუნე, ისხივილე დიდხანს, დიდხანს და ჩვენი მაშაშვილისა არ იყოს, „ჩრდილზე ფეხს რომ დაგადგამენ“, ამოჟრიალდი ლექსად და სიმღერად, მეტაფორად და სიყვარულად.

მიყვარხარ, მეიმედები და მემრავალღონიერები, რადგან შენშია: „ძალაი დედობრივი და მადლი საუფლო!..“

მრავალჟამიერ!..

მარადიული სიყვარულით,
** შენი ლაშა გვასალია.**

უკვე ოთხმოცდახუთისა გამხდარხართ, ჩემო კოლეგავ და მეგობარო, ქალმაცონო მერი.

სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს რიდის გაგიცანით. დღევანდელი გადასახედიდან, მგონია, დამადგმიდანვე გიცნობდით, უფრო მეტიც, მიცვარდით... რამდენადაც მედნიერი და ამაყი ვარ თქვენთან სიახლოვით, იმდენივე მოწიწებას, რიდსა და პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩვენი ურთიერთობის წინაშე. თუ დამიჯერებთ, მოლოცვის წერილსას კალამიც თრთოდა, ვაითუ საკადრისად ვერ მოგფერებდით, არადა დიდი სურვილი მქონდა... რა ვქნა, ეს სურვილი სულიდან მოდის... გავმედე კი მხოლოდ იმის იმედით, რომ თქვენ ჩემი კარგად გესმით.

ორიოდ სიტყვით მინდა მოგილოცოთ და საქვეყნოდ მადლობა გითხრათ იმისთვის, რომ არსებობთ,—რომ ეთვალავ ადამიანს გაუნაწილეთ გულის სითბო, ააგსეთ სიკეთით და მომავლის იმედით, ხელი შეაშველეთ, საწუხარი შეუმსუბუქეთ, რამდენი გამორჩეული ადამიანი „საამქვეყნოდ“ განაწყვეთ, ასწავლეთ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს სიყვარული, მეტიც, აჩვენეთ როგორ უნდა ჩაეწნო მშობლიური მიწის ფესვებს, მიუხედავად საფიცარი შვილობისა და შთამომავლობის თხოვნისა, არ მოსწყდეთ იმ მიწას, სადაც ისინი გაგიზრდიათ. ფუფუნებას არჩიო ადგილის დედა და სწორედ აქედან შეავედრო მარიამ ღვთისმშობელს შენი ქვეყანა, მისი სამწყსო... სიყვარულის ნიჭი, რაც უფალმა დაგანათლათ, თქვენს ხალხს და თქვენს ქვეყანას მოახმართ.

სამადლობელს რა გამომილევს თუნდაც იმის გამო, რომ ქართული ენის მრწყინვალე მცოდნე, ქომაგი მისი, შესაძლებლობას არ უშვებთ, ჩემი სათაყვანებელი და სულისზიარი გაზეთი თქვენი ნააზრევით გამიკეთ–ილუმინილოთ...

85 წელი ცოცა რიდია, მაგრამ უკან მოსახედად ჯერ მაინც მენანებით... აკი თავად ხშირად ამბობთ, „ზოგი მემერი იმადემა, ზოგი ისე კვდემა, არ მერდემაო“—ეს თქვენი ცხოვრების აქსიომაა. გთხოვთ, დრეს თავისი არ გააცანინოთ, მხნედ იცავით, თქვენი სიცოცხლით გვახალისეთ, გაგვაძლიერეთ...

ღმერთმა დაგლოცოთ და დიდხანს გაცოცხლოთ.

სიყვარულით მერი ლაგვილავა.

ღვთაებრივი სიყვარულის დღესასწაული

მნიშვნელოვანი ყოფილა ჩვენთვის მარიამობის თვე. ხობში დღესასწაული დღესასწაულს გადაება. ჯერ იყო და საქართველოს ზნეობრივი გმირისა და წმიდანად შერაცხული ცოტნე დადიანის დღე აღინიშნა სახელწოდებით „პატარა საქართველოს რაინდული გული".

28 აგვისტოს ჯი დაიწყო ჯვირეული „ღვთისმშობლის ჯალთის ქვეშ" რომელიც მიეძღვნა მარიამობის (მარაშინას) წმინდა დღესასწაულს. მარიამობის დღესასწაული გამორჩეულია საქართველოში, მაგრამ ხობელებისთვის იგი განსაკუთრებით განსაკუთრებულია, რადგან ჩვენი ტაძრის სახელწოდება და ისტორია მასთან არის დაკავშირებული.

დღეს გთავაზობთ ჯვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველ მასალებს.

მარიამობა_პოტორმეტთაგან ერთი საეფლო დღესასწაული

20 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა, ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად საზეიმო

წირვა აღავლინა. მრევლთან ერთად წირვას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ერთხელ, როცა მარიამი მაცხოვრის აკლდამაში ლოცულობდა, ცა გაიხსნა, გარდამოხდა გაბრიელ მთავარანგელოზი ხელში ზეთისხილის რტოთი და უბიწო ქალწულს ახარა: „გიხაროდენ მარიამ, რომელმან ჰშვენ ღმერთი ჩუ ნი, ლოცვა შენი აღვიდა წინაშე ძისა შენისა და შეწირულ იქმნა, ამიერიდგან დაუტევებ სოფელსა, ნეტარო, და ზეცასა აღხვალ!–ღვთისმშობელი დიდად გაახარა ამ უწყებამ და მიცვალებისათვის მზადება დაიწყო.

მოციქულები ამ დროისათვის იერუსალიმში არ იყვნენ–სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებდნენ, მაგრამ მარიამს ძალიან სურდა, ამ სოფლიდან განსვლამდე ყველანი ერთად ეხილა. უფალმა ეს სურვილიც აუსრულა ნეტარს: მეყსეულად შემოჰკრიბა მასთან მაცხოვრის ყველა მოწაფე. მარიამი სახელებით უხმობდა ყველას, ქებას ასხამდა მათ სარწმუნოებას და აკურთხებდა. შემდეგ წმიდა დედა იაკობ მღვდელმთავრის ხელით ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარა. მესამე ჟამს-ღვთისმშობლის ამსოფლიდან გასვლისას საოცარი ნათლით გაბრწყინდა ისოთახი, რომელშიც იგი იწვა, „იქმნა დიდებით განსაკრვებელი მოსვლა ქრისტეს ღვთისა და ძისა მისისა დიდებითა მით გამოუთქმელითა". მან წმიდა და ყოვლად უბიწო სული მშობლისა თვისისა „საღმრთოთა მათ და უხრწნელთა მკლავთა თ სთა ზედა მიირქუა" და ანგელოზთა გალობის თანხლებით აამაღლა ზეცად.

მთელი სახლი საოცარი სურნელებით აივსო. მოციქულები კრძალვით მიეახლნენ ნათელშემოსილ წმიდა ცხედარს, შემოკრბენ „სნეულნი და არა ძლებულნიც" და მრავალი სასწაულებრივი კურნება აღესრულა. ქრისტეს მოწაფეებმა ღამე ლოცვაში გაათიეს და პარასკევ დილით ღვთისმშობლის პატიოსანი ნეშტი სიონიდან გეთსიმანიაში გადაასვენეს. მოციქულებმა ღვთისმშობლის წმიდა გვამი აკლდამაში დაკრძალეს. ყოვლადწმიდა მარიამის მიძინებას ერთი ათორმეტთაგანი-თომა ვერ შეესწრო. ღვთის განგებით, იგი სწორედ კვირა ღამეს მივიდა გეთსიმანიაში და ღვთისმშობლის გარდაცვალებით შეწუხებულმა, ითხოვა, საფლავი გაეხსნათ, რომ წმიდა გვამისთვის თაყვანი ეცა. კარი მართლაც გააღეს, მაგრამ აკლდამა ცარიელი დაუხვდათ. მაშინ, ერთი ცნობით, „გამობრწყინდა ნათელი ბრწყინვალე, წინაშე კიდობანსა მას, ვითარცა ხორცითა და ჩვეულებისაებრ მდგომარე იხილეს წმიდა ღვთისმშობელი და თაყუანისცეს". ყოვლადწმიდამ თომა ახლოს მიიხმო და მისი სარწმუნოების აღიარება რომ მოისმინა, „შეიტკბო და აკურთხნა და უჩინო იქმნა". სხვა წყაროთა მოწმობით, ყოვლადწმიდა მარიამი მაშინ „გამოუჩნდათ გაოცებულ მოციქულებს, როცა შინ დაბრუნდნენ და ტრაპეზს შემოუსხდნენ. ღვთისმშობელმა მათ მიმართა: „გიხაროდენ! მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა შინა"–აღნიშნა მეუფე გრიგოლმა.

„ღვთისმშობლის კალთის ქვეშ"

კვირეულის პროგრამა

28 აგვისტო–09:00სთ. სადღესასწაულო ლიტურგია ხობის ხარების დედათა მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

18:00 სთ.–კონფერენცია „ღვთისმშობლის კალთის ქვეშ",–ხობის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.

29 აგვისტო სასულიერო თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა ხობის– კულტურის სახლი.

30 აგვისტო 18:00 სთ. „პოეზიის საღამო" სოფელ პირველი მაისის საეკლესიო კომპლექსი, წმ.ცოტნე აღმსარებლის სულიერ-საგანმანათლებლო ცენტრი.

–კვირეულის დახურვა, ხობის კულტურის სახლი.

ხობი–ისტორიული წარსული, ნათელი მომავალი

28 აგვისტოს ხობში, ნოჯიხევის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერში ჩატარდა კონფერენცია სახელწოდებით „ღვთისმშობლის კალთის ქვეშ", რომელიც ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის მეუფე გრიგოლის ლოცვა-კურთხევითა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახაურის ორგანიზებით წელს პირველად გაიმართა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო თემები: „ხობის მონასტერი არქეოლოგია და სიწმიდეები" (მომხსენებელი გოგიტა ჩიტაია). „თორსის არქეოლოგიური გათხრები ძველი კოლხური კულტურისა და ანტიკური ხანის ნამუშევრები" (მომხსენებელი ლევან ჭაბაშვილი).

კონფერენციის დასასრულს საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა სადაც ყურადღება გამახვილდა ხობის მონასტრის მნიშვნელობაზე, მასში დავანებულ სიწმინდეებზე და მათ ისტორიაზე. ასევე გაკეთდა მიმოხილვა ხობის მონასტრის კათალიკოსთა მოსაზრებების სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში არსებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, დაისახა სამომავლო გეგმები. კონფერენციას სამღვდელოებასთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებლის მოადგილე ვარაზ გაბედავა, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ წულაია, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახაურის უფროსი როზ[redacted]ურების წარმომად-

ღვთაებრივი სიყვარულის დღესასწაული

მადლიანი დღე ქართული მწერლობისთვის და საზოგადოებისთვის

პროექტი,–ქართული ელიტის პოეტები–„წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია–ივერია“, ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა კურთხევით. პროექტი წარმატებული სწორედ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევითა და უფლის ნებით გახდა სახალხო, ეროვნული და გამაერთიანებელი მრავალი თაობისა და ხელოვნებისა.

პროექტი, რომლის რიგით მეათე ტური ხობში გაიმართა, საოცრად ამაღლებული განწყობის მომტანი იყო. პროზა-პოეზიის, ხატწერის, მხატვრობის და ფოტოხელოვნების შემოქმედების პოპულარიზაცია და გაერთიანება, კიდევ ერთხელ ნამდვილად გამოვიდა, როგორც მთელმა საქართველომ იცის, პროექტში ყოველ თვე მონაწილეობს ერთი განსაკუთრებული შესაძლებლობების ადამიანები (.ე.წ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი), ერთი მსჯავრდებული (პატიმარი) ერთი სასულიერო პირი და სხვა ოთხი (ჩვეულებრივი) პოეტი. პროექტი ითვალისწინებს მრავალი სოცუმის ადამიანის რესოციალიზაცია-ადაპტაციას საზოგადოებაში და მათი ცხოვრების შემდგომ მოტივაციას, სახელმწიფოს სასარგებლოდ, მათი სოციალური პრობლემების მოგვარებაში დახმარებას სხვა ცნობილი პოეტ-მწერლებისა და სხვა ხელოვანების და საზოგადო მოღვაწეთა დახმარებით. ასევე, პროექტში, ყოველ თვე, ჩართულია ერთი ქართველი კლასიკოსის ლექსები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის პრესტიჟს და საუკუნეთა–თაობათა გადაბმულობას.

ჩვენი პროექტი საინტერესოა იმითაც, რომ პოეტურ საღამოებზე, მონაწილეები საკუთარ შემოქმედებას თავადვე კითხულობენ და საუბრობენ საკუთარ ბიოგრაფიებზე, ხატმწერები, მხატვრები, ფოტოხელოვანები კი საკუთარ შემოქმედებას აცნობენ დამსწრეთ. ეს მრავალმნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ მათი სიტყვაკაზმულობა და ნაფიქრალ-ნააზრევი, ვიდეო-აუდიო ჩანაწერების ფორმით, სხვადასხვა არქივებში რჩება.

კონკურსისთვის შემოსული მასალები–შემოქმედება, პირველ ეტაპზე იბეჭდება ჯერ ჟურნალ „ქართულ ელიტაში“, შემდეგ კვარტალურ წიგნში და საბოლოოდ, 2014 წლის ბოლოს, წელიწადეულ გამოცემაში გადავა, რომელიც დაახლოებით 800 გვერდიანი იქნება. წიგნის მნიშვნელოვანი ღირსება, საუკუნეებში გაბნეულ შემოქმედთა შორის, ავტორთა ბიოგრაფიები და ფოტოების დაბეჭდვაა. სულ, ერთი წლის მანძილზე, პროექტში მონაწილე იქნება 12 ხატმწერი, 12 მხატვარი, 12 ფოტოხელოვანი, 84 თანამედროვე და 12 ქართველი კლასიკოსი პოეტი-მწერალი, რომელთა შემოქმედებითაც დაიტვირთება წიგნი. ასე რომ, ქართველ მკითხველს ფრიად საინტერესო და ძვირფასი საჩუქარი ელის –ბევრი ლექსი, მოთხრობა-ჩანახატი, ხატი, ნახატი და ფოტო–რაც რამოდენიმე საუკუნის ანარეკლს აჩვენებს ჩვენი ეპოქიდან, ჩვენი პლანეტის მომავალ საუკუნეთა ბინადართ.

რაც შეეხება პროექტის გამარჯვებულთ–2014 წლის დეკემბრის ბოლოს, გამოვლინდებიან „ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია–„ივერიის“ პრემიის ლაურეატები, 12 სხვადასხვა ნომინაციაში.

ამ პროექტის მეშვეობით ჩვენ საზოგადოებას ვაჩვენეთ, რომ არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების და უნარშეზღუდული პირი–არსებობს მხოლოდ განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ადამიანი! ასევე, ჩვენ საშუალებას ვაძლევთ მსჯავრდებულ ადამიანებს, რომ ჩაერთონ ქართულ მწერლობაში და საზოგადო ღვაწლი დაიდონ ერისა და ქვეყნის წინაშე–და აღარასოდეს დაუბრუნდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებას, როგორც მსჯავრდებულნი, თორემ, ისე, როგორც ცნობილი მწერალი და პოეტი, რომელიც იქ მყოფთ პატიოსანი ცხოვრებისკენ მოუწოდებს და ამის ნათელი მაგალითი თავად იქნება–კი ბატონო.

საუბრის დასასრულს კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, მეუფე გრიგოლის იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მან ჩვენთვის გაიღო. ამ დღეს–ღვთისმშობლის კვართის მთხვევით ქართველ პოეტებს და ხელოვანებს სანუკვარი ოცნება აუსრულდათ. მათ გაიარეს კვართის გზა ხობის მონასტრიდან დადიანთა მუზეუმამდე. ამისთვის უღრმესი მადლობა ბატონ გოჩა ქაჯაიას, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელმაც დიდი პასუხისმგებლობით აიღო საკუთარ თავზე ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარება და თითქმის ყველა ცნობილი ქართველი პოეტის მასპინძლობა. მადლობას ვუხდით ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსს, ქალბატონ როზეტა შულაიას პროექტის ხობში მოწვევისათვის. ორგანიზატორები, მონაწილეები და მე–თქვენი მონა-მორჩილი..

ეს დღე არც ერთ პოეტს, არც ერთ ხელოვანს არ დაავიწყდება!

ეს დღე ყველაზე მადლიანი იყო ქართული მწერლობისთვის და საზოგადო მოღვაწეებისთვის!

ნუგზარ ჭიაბერაშვილი, პროექტისა და პრემიის დამფუძნებელი.

პოეზიის საღამო ხობში

30 აგვისტოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა კურთხევით მიმდინარე პროექტის –„წმინდა ილია მართლის [ჭავჭავაძე] გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია-ივერიის“ მეათე ტურს, ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე გრიგოლის კურთხევით და მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ხობმა უმასპინძლა.

პროექტის ავტორი და დამფუძნებელია ნუგზარ ჭიაბერაშვილი. საგამომცემლო სახლ „ქართული ელიტის“ წარმომადგენლობა და პროექტის მონაწილეები შეხვდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა ქაჯაიას. შეხვედრაზე ისაუბრეს პროექტის მნიშვნელობის შესახებ. მონაწილეებმა მასპინძლებთან ერთად მოილოცეს ხობის მონასტერი. სტუმრებს ხობის მონასტრის შესახებ ესაუბრა ისტორიკოსი გოგიტა ჩიტაია, რის შემდეგ, პროექტის მონაწილეები და პარტნიორები ესტუმრნენ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს, სადაც ღვთისმშობლის კვართს ემთხვივნენ.

საღამოს, პირველ მაისში, ყოვლადწმიდის ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მღვდელმთავრისა და საკვირველთმოქმედისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსსა და საპარტიარქო რეზიდენციასთან არსებულ წმინდა ცოტნე აღმსარებლის განათლებისა და სულიერების ცენტრში პოეტებსა და პროზაიკოსებს თემურ ჩალაბაშვილს, თინათინ მღვდლიაშვილს, მანანა დუმბაძეს, მაყვალა გონაშვილს, ედუარდ უგულავას, მაკა ბლიაძეს, იზა ჩიკაიძეს, თენგო ხუციშვილს, სულიკო ჯამაშვილს, ნელი დარბაძეს, ეკატერინე არჩვაძეს, ეთერ მდინარაძეს, მაქსიმე ჩხაიძეს, გიორგი კიკვაძეს, ეკატერინე არჩვაძეს, ხატმწერ თეონა ყარაულაშვილს, ფოტო-ხელოვან რომან თოლორდავას, როგორც პრემიის ნომინანტები, ხობიდან შეურთდნენ პოეტი და პუბლიცისტი ლაშა გვასალია, პოეტები ოთარ არძინბაია, ნინო კემულარია და თემურ ალანია. საღამოს საპატიო სტუმრისა და პოეტის სტატუსით წარუდგა ქალბატონი მერი აბრამია. პროექტში მონაწილე ხატმწერების მიერ წარმოდგელი იქნა ნამუშევრები, რომლებიც სასულიერო თემატიკაზეა შექმნილი, საღამოში ასევე მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის პოეტები კახეთიდან, სამეგრელოდან. სტუმრებს წარედგინათ ლელა ალანიას, ხატია როგავას, ეთერ ნადარაიას, 14 წლის მხატვრის გიორგი იოსავას ნამუშევრები.

მეათე ტურის თითოეული მონაწილე პროექტის დამფუძნებელმა და ავტორმა ნუგზარ ჭიაბერაშვილმა დააჯილდოვა უწმიდესისა და უნეტარესის მიერ დაწესებული სიგელით „წმინდა ილია მართლის ხატით“ და პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნით „ივერია“. პროექტის ხობელი მონაწილეები სექტემბერში შეუერთდებიან პროექტის მეთერთმეტე ტურს, რომელიც გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში გაიმართება. პროექტის მონაწილეებს მიესალმა და წარმატება უსურვა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელმა ნინო ცხადაიამ და მათ მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას სახელით უნიკალური ფოტოალბომები გადასცა.

ხობისა და ფოთის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლის კურთხევით გამოცხადებული მარიამობის კვირეული „ღვთისმშობლის კალთის საფარველქვეშ“ ამ ღირსშესანიშნავი ტურით დასრულდა. მეუფემ პირველად წაიკითხა საკუთარი ლექსი, რომელიც პატრიარქის თხოვნით შეიქმნა. შემოქმედებით საღამოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, ახალგაზრდობასთან ერთად ესწრებოდნენ ხობისა და ფოთის ეპარქიის სასულიერო პირები, მრევლი.

პოეზიის საღამო მიჰყავდათ პროექტის მუდმივ წამყვანს თამარ თაგვაძეს და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განთლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს როზეტა შულაიას. დასასრულს, ხობის კულტურის სახლში გაიმართა კვირეულის საზეიმო დახურვა.

პროექტი ხობში ყოველი წლის მარიამობის თვეს ჩატარდება და ტრადიციად იქცევა.

ხობი-მადლიანი ადგილი ჩვენთვის

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა კურთხევით მიმდინარე. ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის ლიტერატურული პრემიისათვის გამართულ საღამოებს დასაწყისიდანვე ვუძღვები. პროექტის მედია-პარტნიორია საპარტიარქოს ტელევიზია„ერთსულოვნება“. 30 აგვისტოს მეათე ღონისძიებას ხობისა და ფოთის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე გრიგოლის კურთხევით და ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით, ხობმა უმასპინძლა.

ეს საღამო თითოეული ჩვენგანისთვის, პროექტის მონაწილისა და ორგანიზატორებისთვის დაუვიწყარი აღმოჩნდა. კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადავუხადო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოჩა ქაჯაიას ჩვენი მეგზურობის, მასპინძლობისა და იმ სულიერი სიხარულისთვის, რაც მან პროექტის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მიანიჭა. კულტურის სამსახურის უფროსს ქალბატონ როზეტა შულაიას, რომელმაც შემოგვთავაზა ხობში, როგორც ღვთისმშობლის კვართის შემომნახველ უძველესი ხობის მონასტრისა და ახალი ტაძრების, სულიერ -საგანმანათლებლო ცენტრის დედაადგილში ამ ღონისძიების ჩატარება.

მადლობას ვუხდით მაჟორიტარ დეპუტატ გოდერძი ბუკიას, რომელმაც დასამახსოვრებელი საჩუქარი უძღვნა პროექტის ყველა მონაწილეს და რომ სამონასტრო კომპლექსი, და მასთან არსებული ცოტნე აღმსარებლის ცენტრი მისი ქტიტორობითაა აშენებული, კიდევ ერთ სამადლობელს გვათქმევინებს რომელიც პროექტის მონაწილეებს.

წმინდა ილია მართლის ლიტერატურული პრემიის მეათე ტური ხობში ვერ შედგებოდა, რომ არა ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე გრიგოლის ესოდენი მხარდაჭერა, მადლობა მას ჩვენი პროექტის მარიამობის კვირეულის დღეებში ჩატარების კურთხევისათვის. მისი ინიციატივა და ესოდენი ყურადღება, მოწვევა ცოტნე აღმსარებლის ცენტრში, მეუფის თანამონაწილეობა ამ სულიერ პროექტში და მაქსიმალური მხარდაჭერა თითოეული მონაწილისა და ორგანიზატორებისათვის დიდი პატივია.

ხობი ჩვენთვის ის ადგილია, რომელსაც ყოველთვის სიამოვნებით დავუბრუნდებით, რომ ისევ მივიღოთ ამ ადგილის მადლი.

თამარ თაგვაძე,

საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ჟურნალისტი. პროექტ „ივერიის „ლიტერატურული პრემიის“ მუდმივი წამყვანი, პროდიუსერი.

დღეს საჯარო სკოლებში სწავლა განახლდება

რა სიახლეები დახვდებათ 15 სექტემბერს მოსწავლეებს და მასწავლებლებს

ლია გიგაურის ინფორმაციით, 5 წლიანი გეგმის მიხედვით, ყველა სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა დასრულდეს. 100 სკოლა ამ ეტაპზე გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს.

• დაბეჭდლია და მოსწავლეებს უფასოდ გადაეცემათ სასკოლო სახელმძღვანელოები ისევე, როგორც პირველ კლასელებსა და მათ დამრიგებლებს პერსონალური კომპიუტერები.

• სასკოლო ავტობუსები მოემსახურება 1000-ზე მეტ სკოლას.

• ყველა სკოლაში სადაც არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე მუშაობს სპეციალური მასწავლებელი და დამხმარე პედაგოგი. ამასთან, როგორც სამინისტროში აცხადებენ, ქვეყანაში სპეციალური (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი) პედაგოგების ნაკლებობაა და მათი შერჩევის პროცესი რთულია. დღეის მონაცემებით ასეთი 500 პედაგოგია. მათ დაფინანსებას სრულად საკუთარ თავზე იღებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. უწყებაში იმედოვნებენ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა რომელიც სპეციალური საჭიროების პედაგოგებისთვის არის განკუთვნილი, ამ საჭიროების მასწავლებლების რაოდენობას გაზრდის.

• წელს საპილოტე რეჟიმში ამოქმედდება ექიმის კაბინეტი. პირველ ეტაპზე პერსონალური ექიმი 100 სკოლას ეყოლება. თუმცა მომავალი 3 წლის განმავლობაში სამედიცინო ოთახი ყველა სკოლაში უნდა იყოს. გამონაკლისი იქნება რეგიონების მცირე კონტიგენტიანი სკოლები. ლია გიგაურის თქმით, ისეთ სკოლებში სადაც ბავშვების რაოდენობა ძალიან ცოტაა, ექიმის შტატი არ დაიშვება. თუმცა მოსწავლეებზე სოფლის ამბულატორიის ექიმები იზრუნებენ. გარდა იმუნიზაციისა და პირველადი დახმარების აღმოჩენისა სკოლის ექიმები სკოლის ჰიგიენის მაკონტროლებლების როლშიც მოგვევლინებიან.

• დაგეგმილია ფსიქოლოგიური ცენტრის საქმიანობის გადახედვა-გაფართოება.

მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, 700-ზე მეტმა სკოლამ მოითხოვა სკოლის ფსიქოლოგი. თუმცა საჭირო და პროფესიონალი კადრების არარსებობის გამო პირველ ეტაპზე სკოლების შესწავლა და ფსიქოლოგების იმ სკოლებში მივლენა მოხდება, სადაც ამის ყველაზე დიდი საჭიროებაა.

• ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე მასწავლებლის ახალი სტანდარტის მიხედვით შემუშავებული პროფესიაში შესვლისა და კარიერული ზრდის სქემაა. აღნიშნული სქემის ოფიციალური დოკუმენტი სავარაუდოდ 2 კვირაში გამოქვეყნდება.

როგორც ლია გიგაურმა Aris.ge - განათლების კითხვის საპასუხოდ განაცხადა, სკოლა არ უნდა იყოს განათლების სისტემის ყველაზე სუსტი რგოლი და ყველა სიახლე სკოლის გასაძლიერებლად არის მიმართული. ზოგადი განათლების საფეხურის გასაძლიერებელ ნაბიჯად, უწყებაში, დირექტორების ახალი წესით შერჩევის პრინციპსაც ასახელებენ:

„სკოლა არ უნდა იყოს სუსტი რგოლი. სკოლაა ის ადგილი, სადაც ყალიბდება ყველა საიჭირო უნარ-ჩვევა. სწორედ სკოლის გაძლიერებისკენ არის მიმართული დირექტორების არჩევის ახალი პრინციპი. პროცესი, რომელიც ოქტომბრის ბოლოს დასრულდება. სწორედ ამიტომ ვითხოვთ კანდიდატებისგან სკოლის განვითარების გეგმას. სწორედ ისინი არიან პასუხიმგებლები იზრუნონ სკოლაში ჩვენ მიერ ცენტრალიზებული რეფორმების განხორცილებაზე. ამასთან ადგილზე შეისწავლონ სკოლის საჭიროებები, პრობლემები აღმოფხვრან და სწორი განვითარების სტრატეგია შეიმუშაონ, რათა თითოეული სკოლა ახალ ეტაპზე გადავიდეს,“-დასძინა ლია გიგაურმა.

ახალი სიახლეებით ახალ სასწავლო წელს!

15 სექტემბერს ხობის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღები, საზაფხულო არდადაგების შემდეგ სწავლას განაახლებენ. თუ როგორი მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს არსებული ბაღები გვესაუბრება, ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი, ქალბატონი ელისო ჯვიჯვინია.

ქალბატონო ელისო, როგორი მომზადებული ხვდება მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღები ახალ სასწავლო წელს?

–პირველ რიგში სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, მშობლებსა და თანამშრომლებს. ვისურვებდი, რომ ეს სასწავლო წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი ყოფილიყოს.

ახალი სასწავლო წელი ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში 15 სექტემბერს დაიწყება. საბავშვო ბაგა–ბაღებში 6 წლამდე ასაკის აღსაზრდელთა რეგისტრაცია მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამჟამად მიმდინარეობს სიების დაზუსტება, შევსება, ჯგუფების დაკომპლექტება ასაკის გათვალისწინებით. ასაკობრივი ჯგუფები, გაერთიანების წესდების მიხედვით, შემდეგნაირად კომპლექტდება: ბაგის ჯგუფში მიიღება 2-დან 3 წლამდე, ხოლო შერეულსა და ბაღის ჯგუფებში 3-დან 6 წლამდე ასაკის აღსაზრდელები. სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებს შვილების სასურველ საბავშვო ბაღებში ჩარიცხვის სრული შესაძლებლობა ჰქონდათ. ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს შეუძლია მიიღოს და მოემსახუროს 1092 აღსაზრდელს, რაც სტატისტიკურად წინა წელთან შედარებით 78 აღსაზრდელით მეტია. დღევანდელი მონაცემით სულ ჩარიცხულია შესაბამისი ასაკის მქონე 1071 აღსაზრდელი.

ამ ეტაპზე საბავშვო ბაღების უმრავლესობა სრულად არის შევსებული. მცირეკონტიგენტიან საბავშვო ბაღებში გვაქვს თავისუფალი ადგილები. ძალიან გადატვირთულია ქალაქ ხობის №2 საბავშვო ბაგა–ბაღი ,რომელიც დაგეგმილია 130 აღსაზრდელზე. დარეგისტრირებულ აღსაზრდელთა შორის ჩარიცხვის კანდიდატია 161, ამით თითოეულ ჯგუფში გვეყოლება 32-34 აღსაზრდელი. პრობლემის მოსაგვარებლად აღნიშნულ ბაღში ახალი სასწავლო წლისათვის იგეგმება ახალი ჯგუფის გახსნა, რაც მოგვცემს ჯგუფების განტვირთვის საშუალებას.

სახელმწიფო ბაღებში სწავლება არის უფასო. შესაბამისად მოთხოვნა ბაღებზე გაიზარდა. გასულ წელთან შედარებით, წელს სრულად ვაკმაყოფილებთ მოსახლეობის მოთხოვნას, რაც ახალი ჯგუფების რაოდენობის გაზრდით იქნა შესაძლებელი. კერძოდ: ახალი ხიბულისა და ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღებში გაიხსნა ახალი ჯგუფები; ახალი სასწავლო წლისათვის სოფელ შავღელეში იხსნება ახალი საბავშვო ბაღი 30 აღსაზრდელზე.

საბავშვო ბაგა-ბაღების უმეტეს ნაწილში ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია, ამ მხრივ ხომ არ არის ცვლილებები?

–ზაფხულის პერიოდში სოფლის პროგრამიდან რამდენიმე საბავშვო ბაღში (გაღმა ხორგის, ნოჯიხევის №1) ჩატარდა სარემონტო სამუშაოები; პოლონეთის საელჩომ ახალი ჯგუფებისათვის შემოიტანა სარემონტო მასალები, ავეჯი, სასწავლო და საკანცელარიო ნივთები, სათამაშოები.

პირველი მაისის საბავშვო ბაგა-ბაღში განხორციელდა კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტი. (პროექტის „მომავალი თქვენია“-ს კოორდინატორი ლელა ალექსანდრია). პროექტი განხორციელდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში დაფინანსებით მიმდინარე საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ“-ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის და ასოციაცია „ათინათის“ ხელშეწყობით. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენდა 7778,40 ლარს. სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების წვლილი აღნიშნულ პროექტში იყო 800 ლარის თანადაფინანსება.

კვების მენიუში ხომ არ არის სიახლე?

–რაც შეეხება კვებას, ყველა საბავშვო ბაღში არის ერთნაირი და სამჯერადი. შემუშავებულია ყოველდღიური კვების „მენიუ“, კვების პროცესი ინსპექტირების ჯგუფის მიერ სისტემატიურად და მკაცრად გაკონტროლდება.

რა ცვლილებებია სასწალო პროცესების მიმდინარეობაში?

–ახალ სასწავლო წელს მომზადებული ხვდება გაერთიანებაში შემავალი 30-ვე საბავშვო ბაღი. ემზადებიან აღმზრდელ მასწავლებლებიც. ახალი ჯგუფის აღმზრდელებმა გაიარეს გადამზადების ორდღიანი ტრენინგები. გაერთიანების მიერ დამტკიცდა სასწავლო–სააღმზრდელო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს აღსაზრდელებში სოციალური უნარ–ჩვევების გამომუშავებასა და გონებრივ მზაობას. ნებისმიერ მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს და თვალყური ადევნოს იმას, თუ რა მეთოდით მიმდინარეობს მათი შვილების აღზრდა–განვითარება. თითოეულ სკოლამდელ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამუშაო–სამოქმედო გეგმა, სადაც გათვლილია სხვადასხვა სახის შემოქმედებითი, ინტელექტუალური და სპორტული ღონისძიებები.

ესაუბრა ნინო გერგაია.

ღვაწლი და ღირსება

ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც მიუხედავად ასაკისა, კელაპტარივით გვინათებენ გზას მომავლისაკენ და მთელი თავიანთი საქმიანობით ალამაზებენ ირგვლივ მყოფთა ცხოვრებას. განვლილი წლები მათი სიამაყეა, რომელიც საკუთარი თუ სხვათა აღზრდასა და სიკეთის ქმნაშია გალეული...

ახალი ხიბულის სახელოვან ადამიანთა რიცხვში დამსახურებულად შედის ქალბატონი ქეთევან (ქეთო) შელეგია, რომელმაც მთელი თავისი საქმიანობა ახალგაზრდობის აღზრდას, მათ სულიერ ჩამოყალიბებას მიუძღვნა.

დღეს, როცა საზოგადოებამ მკვეთრად შეიცვალა ცხოვრებისა და შრომის წესი, იცვლება ადამიანის ფსიქოლოგიაც. სამწუხაროდ, ზნეობრივი ღირებულებები სულ უფრო ნაკლებ ადგილს იჭერს ყოველდღიურ ყოფაში, თითქოს მისთვის დრო აღარ რჩება, არადა, მის გარეშე პიროვნება დაპროგრამებულ მანქანას წააგავს. ასეთი „დაპროგრამებული მანქანების“ არ მომრავლებას, საკუთარი ცხოვრების წესით და შენი პირადი მაგალითით უნდა შეუწყო ხელი. სამივე შვილი–ანტონი, მედეა და გელა სწორედ იმ ზნეობრივი და სულიერი ღირებულებებით აღზარდა, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და ერის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო კარლო ვარდიას და ქეთო შელეგიას ოჯახში. ახალი ხიბულის საშუალო სკოლა, სადაც ისინი მუშაობდნენ (ბატონი კარლო სკოლის დირექტორად) ერთ-ერთი საუკეთესო იყო რაიონში. ეს „საუკეთესობა“ დაძაბული შრომის, გათენებული ღამეების, უწყვეტი განათლების ძიების, მუდმივად სიახლეების ძებნის შედეგი იყო.

ბევრჯერ დაწერილა და ალბათ კვლავაც ბევრჯერ დაიწერება იმ სკოლაზე, რომელსაც „კადრების სამჭედლოს“ უწოდებდნენ.

...ქეთო მასწავლებელი მაინც სხვა იყო, მასთან ურთიერთობას სხვანაირი იერი ჰქონდა, როგორც იტყვიან ხოლმე, დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა, მაგრამ როგორც ყველა განათლებულ და არისტოკრატ ადამიანს ჩვევია, იცოდა ზღვარი, რომლის იქეთაც არავის უშვებდა და თვითონაც ამ ზღვარს არასოდეს გადალახავდა. არასდროს მიუღია მეუღლის დირექტორობით გამოწვეული უპირატესობა, პირიქით, ყოველთვის ორმაგი პასუხისმგებლობით აკეთებდა საქმეს, ვინმეს, რომ არ წამოეყვედრებინა რამე.

მქონდა ბედნიერება მემუშავა „კარლოს სკოლაში“, როგორც მას უწოდებდნენ ხოლმე, სახელგანთქმული ადამიანების გვერდით, მესწავლა მათგან ისეთი, რამ რასაც მხოლოდ წიგნებში ვერ ისწავლი. მაინც როგორი იყო ქეთო მასწავლებელი გაკვეთილზე? (რომელიც ბიოლოგიას ასწავლიდა)–იგი სამუშაო დღის უმეტეს დროს სკოლაში ატარებდა, ეწეოდა ექსპერიმენტულ მუშაობას, აზოგადებდა ყოველივე ახალს, რომელსაც შეეძლო ბიოლოგიის სწავლების დონის ამაღლება, ყოველთვის შეჰქონდა სიახლე პედაგოგიურ პრაქტიკაში, დიდი ხალისით ატარებდა სადემონსტრაციო გაკვეთილებს. ასეთი გაკვეთილები მაშინ სიახლე იყო სკოლებში და იგი გულისხმობდა თეორიულად მიღებული ცოდნის, სათანადო ლიტერატურის დამოუკიდებელი კითხვის გზით მიღებული ინფორმაციის შემოქმედებითად და პრაქტიკულად გამოყენებას. მახსოვს, ქალბატონი ქეთოს გაკვეთილები სექტემბრის პირველ რიცხვებში, როცა მოსწავლეთა უმრავლესობა, სპეციალური საჰერბარიუმო ნამუშევრებით მოდიოდნენ სკოლაში და მოჰქონდათ უამრავი თვალსაჩინო მასალა ბიოლოგიაში. გარდა ამისა, ქალბატონი ქეთო აოსტატებდა ახალდამწყებ თუ სტუდენტ მასწავლებლებს, არასდროს არ ეზარებოდა მათთან მუშაობა. ამიტომაც უყვარდათ და უყვართ დღესაც ქალბატონი ქეთო გარშემომყოფებს. იგი 50 წელიწადზე მეტხანს ემსახურა საყვარელ საქმეს. ემსახურა მას რუდუნებით, ერთგულებით, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით. იყო დრო, როცა მასწავლებელს ძლიერ გაუჭირდა და მან დათმო თავისი პროფესია, ქალბატონ ქეთოს კი არასდროს უფიქრია ეღალატა პედაგოგობისათვის, თითქოს იგი უფრო ძლიერდებოდა და ამით სტიმულს აძლევდა ახალგაზრდებს.

ბატონ კარლოს და ქალბატონ ქეთოს ოჯახში ყველაზე ღირებული ყოველთვის იყო წიგნი, მათი სახლის გარკვეული ნაწილი დღესაც თითქოს პატარა ბიბლიოთეკაა, სადაც იშვიათი წიგნები და გამოცემები ინახება, რადგან მათთვის და მათი შვილებისათვის მხოლოდ „წიგნიერი ცოდნა“ წარმოადგენს სხვა ცოდნათა საყრდენს, საფუძველს.

წლებად ჩარიგებულა დრო, სუნთქვასავით გარდასული ათეული წელი მიითვალა ქალბატონ ქეთოს ცხოვრების ამსახველმა ისტორიამ. საოცარი ბუნების, გულისხმიერი, მუდამ ოპტიმისტურად განწყობილი დიდებული ქალბატონი დღესაც ფუსფუსებს თავის ეზოში. როგორც ბიოლოგს უხარია ბუნების წიაღში ყოფნა, უხარია ჩიტების ჟღურტული თუ „მაფშალიას“ ტკბილი ხმის გაგონება, ვარდის ჯერ გაუშლელი კოკრის მოალერსება, უხარია, რომ ცვრით დანამული ბალახი ისევ მამულის სიმბოლოა და მასზე ფეხშიშველმა, აუ... რამდენი წლის წინ გაიარა.

...მაგრამ ქალბატონ ქეთოს განსაკუთრებული სიხარული და სიმდიდრე მისი შვილები და შვილიშვილებია, რომელთათვისაც იგი დღესაც მასწავლებელია; ისევ ისე ასწავლის მათ ცხოვრებას, როგორც თვითონ გაუვლიათ იგი პატიოსნად და სახელოვნად.

ამასწინათ შეგხვდი ქალბატონ ქეთოს თავისი შვილიშვილის ქორწილში, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა იგი ვნახე ისევ ისეთი, როგორც წლების წინ–მოძღვარი, რომელიც წარმოადგენს სიბრძნის, სინათლის, სიკეთის ღირსების სიმბოლოს. ქალბატონო ქეთო–ნათქვამია, ბებერი ხარის რქებიც ხნავენო, თქვენ თქვენი ახო უკვე გაკაფულიც გაქვთ და ნერგებიც ჩაყრილი, გისურვებთ ჯანმრთელობას, თქვენი მონაგარით ტკბობას და სიმშვიდეს ირგვლივ, მადლობა რომ არსებობთ!

მანანა შულაია,
თქვენი ყოფილი მოსწავლე და კოლეგა.

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

27 სექტემბერი—სოხუმის დაცემის დღე

მონატრება, სევდა, ტკივილი...

რამდენი წელი გაილია შენთან საოცნებო შეხვედრის მოლოდინში ჩემო სიყრმის დროინდელო, მარადმწვანე, კოპწია პატარძალს დამგვანებულო, ქალაქ–სოხუმო!

აფხაზეთში მოჭარბებულ უცხოელ ტურისტებს ბუნების გამაოგნებელ საოცრებასთან ერთად, მოლივლივე ლურჯი ზღვის ტალღებზე მოფარფატე თოლიები, მოჭარბებული იალქნების თეთრი აფრები, სანაპიროზე თამაშგართულ ბავშვებთან თამამად მობაჯბაჯე მტრედების „ჯარი“ და ჭადრების ხეივანში დინჯად მობაასე გულღია მასპინძლების ხილვა ხიბლავდათ. იქვე, ყავახანებთან ქვიშაზე უბრალოდ მოხარშული ყავის გამაბრუებელი სურნელი ტრიალებდა.

ფაცხებში უამრავი სტუმარი აფხაზეთში განთქმულ „ადესის“ ღვინოს აჭაშნიკებდა, თან ქართულ, მამა-პაპურ „ოდოიას“ და აფხაზურ „სივარაიდას“ გულათრთოლებული აყოლებდა ხმას.

აფხაზეთში გვერდიგვერდ მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთმანეთს აფასებდნენ, ერთურთის სიტყვას ენდობოდნენ და ერთმანეთს ცხოვრებას ულამაზებდნენ. ასეთად მახსოვხართ, ასეთნი მიყვარდით ჩემო კარგებო, ჩემო აფხაზო და ქართველო მეგობრებო! დაუდგრომელ შრომაში დახარჯულო სომეხო და ბერძენო ადამიანებო! ჩემო პაწია პაციენტებო, უკვე დაზრდილნო, დამშვენებულნო, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დასაქმებულნო!

ჩემო, აფხაზეთო! სტუმართმოყვარე, ლამაზი ტრადიციების და გულუხვი ხალხის ნავსაყუდელო! ჩემო, სისხლით მოყვარე ნათესავებო! დედით ქართველნო, აფხაზებისათვის საფიცარო ერასტი აშბას ოჯახის შთამომავალნო! თქვენს სიზმრად ნახვას დანატრებული, ცრემლმორეული გეამბორებით, კვლავაც გეხვევით, ძილში გეძახით, ვაი, რომ ენგურს გადაღმა ვერ გაგაგონეთ. თითქოს მდინარეც გაცოფებულა, უკუნეთია ჩამოწოლილი. დროც გაიწელა და ჩვენც დავბერდით.

ძუძუმტე აფხაზს თანაშეზრდილ ვაჟკაც ქართველთან გასაყოფი აბა რა ჰქონდა? ერთურთის სიყვარულით დაბრმავებულებს, ჩასაფრებული მზაკვარი მტერი შემოგვესია. ავი ზრახვების შესრულებაში ცოდვილიანნი გაერთაინდნენ და გააოხრეს, გააჩანაგეს, იავარქმნილი კი თქვენ დაგიტოვეს, ჩვენ გამოგვყარეს. მუჭაშიმოქცეული ქართული მიწა ბრგე ვაჟკაცების სამარხად იქცა. შაოსანთა გოდებამ ცაში დაფერფლილი, ზღვაში ჩაძირული, თუ სვანეთის კლდეებიდან გადაჩეხილი უდანაშაულო ხალხის სულები შეძრა.

მორდუს ტრადიციების შემლახველთ უფალი განსჯის.

კვლავ შემოდგომა და სექტემბერი... ზვარაკად შეწირულთა მოხსენიება. დაღვენთილ სანთლებში დარდის გამხელა. ისევ ტკივილი, სულში სიცივე, სიცარიელე, ეს დაგვრჩენია როდემდის?

ღმერთო! გვიშველე, გადაგვირჩინე ჩვენი აფხაზეთი, დაგვიბრუნე ქართული-აფხაზური ძმობა, სიყვარული.

სვეტა გვათუა,
აფხაზეთიდან დევნილი.

მილოცვა

ბატონო არველოდ!

პატივისცემით გილოცავთ დაბადების ღირშესანიშნავ თარიღს–80 წლის იუბილეს.

თქვენ, ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი ბრძანდებით, რომელმაც პატიოსნებით, ერთგულებით და კეთილშობილებით საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეთ. გაფასებენ, როგორც კარგი ოჯახის მამას და ბაბუას, საუკეთესო მეზობელსა და მეგობარს...

გისურვებთ, სიხარულად მოგემკოთ ყოველივე ის რასაც რვაათეული წელი თესდით...

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ძველი თაობის წინამძღოლი



მინდა გესაუბროთ ადამიანზე, რომლის მიმართ სითბო და სიყვარული საზოგადოებისგან დღემდე არ ილევა. უწყინარი, მშვიდი, სათნო და სანდომიანი, ყველას ჭირ-ვარამის გამზიარებელი, დარბაისელი და გამგებიანი, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, სასიქადულო შვილების და შვილიშვილების აღმზრდელი–ეს ჩვენი ველოდი ბიძაა, ხასიების ღირსეული წარმომადგენელი და ერთადერთი წინამძღოლი ძველი თაობისგან.

ველოდი იასონის ძე ხასია დაიბადა 1934 წლის 15 სექტემბერს ხობის რაიონის გაღმა პირველ ხორგაში (ახლანდელი ახალსოფელი). 1954-56 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, ქართულ დივიზიაში. 1956-59 წლებში სწავლობდა ტექნიკუმში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. ტექნიკუმში სწავლის პერიოდში შრომით სემესტრში ორჯერ მიიღო მონაწილეობა ყაზახეთში, ყამირ მიწებზე მოსავლის აღებაში, სადაც დააჯილდოვეს მედლით „ყამირი მიწების ათვისებისათვის“. 1960 წლიდან 1994 წლამდე (პენსიაზე გასვლამდე) მუშაობდა ხობის საგზაო სამმართველოში ჯერ ტექნიკოსად, შემდეგ სამუშაოთა მწარმოებლად.

15 სექტემბერი მართლაც „დიდი დღეა“. ხასიები საამაყო ერისკაცის, ხოლო ხარებავები კაცობის ეტალონი სიძის 80 წლის იუბილეს აღნიშნავენ.

ველოდი ბიძია, ჩვენთვის სათაყვანებელო, საოცარო და ტკბილმოუბარო ადამიანო, გილოცავთ ამ ლამაზ დღეს. მუდამ მხნედ, ჯანმრთელად, უწყინრად და მხიარულად გვყოლოდეთ. იხარეთ და იდღეგრძელეთ შვილებთან: ნატო, ეკა და დიტო ხასიებთან ერთად. ძალღონე და შემართება არ მოგკლებოდეთ შვილიშვილებთან: ანასტასია ხასიასთან; იკა, ვაკო და თორნიკე პირველებთან. დიდხანს ყოლოდეთ სიმამრის სახით თქვენთვის უიშვიათეს და უკეთილშობილეს სიძეს ოთარ პირველს. ტკბილი სიბერე გქონოდეთ მეუღლე კლავდია ხარებავასთან ერთად. დღემდე მოხვეჭილი სახელი და სიყვარული არ გამქრალიყოს ახლობლების გულებიდან.ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ლამაზი ოჯახის შემწე.

უდიდესი სიყვარულით და მოწიწებით ნინო და ნიკა ლიპარტიები.

არველოდ ხასიას–საუკეთესო პიროვნებას, მეგობარსა და თანაქალაქელს სიყვარულით ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ მზეგრძელ სიცოცხლეს, ულევ სიხარულს და თავისი ოჯახის ბედნიერ მომავალს.

გვიყვარხრთ, გესიყვარულებით და კიდევ ერთხელ გილოცავთ!

უახლოესი მეზობლები

„მრავალ შვილის გამზრდელი დედა მიცვნია გმირადა“

თითოეული პატარა უფლის დიდი წყალობაა

თეა მიქაია და ზურაბ გვარამია ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ შუა ქვალონში, საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ მიერ ნაჩუქარ სახლში ცხოვრობენ. ახალგაზრდა მშობლები ცხრა შვილს ზრდიან–შორენა, თეონა, მარი, დიანა, ზურაბი, აჩიკო, დავითი და დიტო. მათთვის შვილები უფლის დიდ წყალობას ნიშნავს. თვლიან, რომ ცხოვრებაში ყველაზე დიდი ღირებულება, რისი შექმნაც ქალს შეუძლია, მრავალშვილიანობაა.

მართლაც, ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის მრავალშვილიანობა უდიდესი სიხარულია. კაპკა წერს: „ქორწინება, ოჯახის შექმნა, ღვთისაგან მოცემული ყველა ბავშვის გაჩენა, ამ ცვალებად სამყაროში მათი შენარჩუნება და სწორ გზაზე დაყენება ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანისთვის მოცემული ყველაზე დიდი სიკეთეაო“.

დიახ, დღევანდელ დროში, მრავალი შვილის აღზრდა პრობლემებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს დიდი სიხარულიცაა.

დავინტერესდი თუ როგორ ცხოვრობს დღეს მრავალსულიანი ოჯახი და სრულიად მოულოდნელად შინ ვესტუმრე... დიასახლისიც ინტერვიუზე მაშინვე დამთანხმდა.

ქალბატონო თეა, გვიამბეთ, როგორ შექმენით ოჯახი?

–სრულიად მოულოდნელად, გაცნობიდან ერთ კვირაში და დღემდე ბედნიერად ვცხოვრობთ.

გვიამბეთ თქვენს მრავალრიცხოვან ოჯახზე, პირველი შვილი რა ასაკში გეყოლათ, რამდენი წელია ბავშვებს შორის სხვაობა?

–23 წლის ასაკში გავხდი დედა. ბავშვებს შორის სხვაობა 1–3 წელია, უფროსი ქალიშვილი 16 წლისაა, ყველაზე უმცროსი 7 თვის.

ოჯახში ვინ არის დასაქმებული, შემოსავლის რა წყარო გაგაჩნიათ?

–ოჯახში ყველანი უმუშევრები ვართ. ჩემი მეუღლე სოფლის მეურნეობით არის დაკავებული, მიწას ამუშავებს და სიმინდი მოჰ ყავს.

რა სოციალური დახმარებით სარგებლობთ, როგორც მრავალშვილიანი ოჯახი, კიდევ რა დამატებითი შემოსავალი გაქვთ?

–გვაქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი და შესაბამისი დახმარება. სხვა დამატებითი შემოსავალი ოჯახს არ გააჩნია.

ადგილობრივი ხელისუფლებისგან თუ გრძნობთ მხარდაჭერას?

–დიახ. რითაც შეუძლიათ ყურადღებას გვაქცევენ. წელს პროდუქტებით დაგვეხმარნენ. მჯერა, მათი ყურადღება არც მომავალში მოგვაკლდება.

მრავალი შვილის ყოლა თქვენი ოცნება იყო?

–ყოველთვის ვოცნებობდი მრავალი შვილი მყოლოდა, რადგან ვიცი რა არის დედ-მამიშვილების იმედი, თანადგომა. მეც მრავალშვილიანი ოჯახიდან ვარ, ხუთი დაძმა ვართ და ერთმანეთის იმედი დღემდე გვაქვს.

როგორი გინდათ იყოს თქვენი შვილები, რას უნერგავთ მათ?

–როგორც ყველა მშობელს, მეც მინდა ჩემი შვილები საუკეთესოები იყვნენ. გაიზარდონ ნამდვილ ქართველებად, წესიერები, უღალატოები, საქმის ერთგულები...

თქვენ საუბარში მითხარით, რომ ფონდმა „იავნანამ“ სახლი გადმოგცათ, რას გვეტყვით ამაზე, რა გრძნობა დაგეუფლათ?

–ვცხოვრობდით ამავე სოფელში, აქვე ახლოს, არ გვქონდა არანაირი პირობა იმისა, რომ გვეცხოვრა. გაუსაძლისი პირობები გაგვაჩნდა. გადავწყვიტეთ, დაგვერეკა ფონდ „იავნანაში“ და დახმარება გვეთხოვა... ცდას ფუჭად არ ჩაუვლია. ზუსტად ერთ თვეში ეს სახლ-კარი გადმოგვცეს. იმედი გვქონდა, რომ უყურადღებოდ არ დაგვტოვებდნენ, მაგრამ თუ ასე მოკლე დროში მოხდებოდა, არ მოველოდით. ამ სიხარულისთვის მინდა ფონდ „იავნანას“ ჩემი ოჯახის სახელით მადლობა ვუთხრა და წარმატებები ვუსურვო.

ვერ გადმოგცემთ რა გრძნობა იყო... ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ყველანი ბედნიერები ვიყავით, ბოლოს და ბოლოს, მოგვეცა საშუალება უკეთ ვიცხოვროთ. სწორედ ამ ახალმოსახლეობის შემდეგ გაჩნდა მეცხრე შვილი.

რას უსურვებთ ახალბედა, თუნდაც მომავალ დედებს?

–გამრავლებას, კარგად ყოფნას და შვილების ბედნიერ მომავალს.

ესაუბრა
ნანა კემულარია.

ბლიც-ინტერვიუ

მჯერა უფლის და გაბრწყინებული მომავლის

სახელი: გოჩა
გვარი: სიჭინავა
საქმიანობა: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე?
–დღე, როდესაც პირველად გავხდი მამა, უდიდესი დღეა ჩემს ცხოვრებაში.

რას ინატრებდით?
–საქართველოს გამთლიანებას, ჩემი ქალაქის გაძლიერებას, ოჯახის სიმტკიცესა და შვილების ბედნიერებას.

სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?
გავმხდარვიყავი დიდი ფეხბურთელი.

ყველაზე მეტად რას არ ისურვებდით?
–შუღლსა და მტრობას ადამიანების ურთიერთობაში.

ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ?
–საყვარელი ადამიანების, ოჯახის, მეგობრების და ახლობლების გარეშე ცხოვრება ხალისს კარგავს.

თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე? –ერთგულება.

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?
–უცნაურობით არ გამოვირჩევი.

რისი გჯერათ?
–მჯერა უფლის და გაბრწყინებული მომავლის.

რასაც არასოდეს გააკეთებდით?
–არ გავბოროტდები.

ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება?
–კეთილშობილება, კეთილშობილი ადამიანი ყველა სიკეთისა და ღირსების წყაროა.

ყველაზე მეტად რისი გეშინიათ? –სიკვდილის, დღე , რომელიც ყველა ადამიანისათვის გარდაუვალია, რომ არ წავიდე იმ ქვეყნად მოუნანიებელი.

ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?
–არ არსებობს ასეთი ფრაზა, თუმცა ძალიან მიყვარს შემდეგი სიტყვები: „არასოდეს დანებდე, იმიტომ რომ ცხოვრება ბრძოლაა“.

რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?
–ღვთის შიში, იცხოვრო სუფთა სინდისით და დაეხმარო ადამიანებს, რისთვისაც აუცილებელი არაა იყო მდიდარი და ძლიერი, საჭიროა იყო კეთილი.

როგორ მოხვდით პოლიტიკაში?
–2001 წელს ხობში შეიქმნა პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენეები“ რომლის წევრიც გავხდი.

ვინ არიან თქვენი ოპონენტები?
–ყველა ჩემი ოპონენტი ბრძოლაში გამარჯვებული ღირსეული პიროვნებაა, მათ პატივს ვცემ, ჯანსაღი ოპონირება შესაძლებელია ყველასთან.

ის, რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?
–ყველაფერი ის, რაც არ ვიცი.

რითი ილამაზებთ ცხოვრებას?
–სიყვარულით, ეს ყველას არ შეუძლია და ვისაც მისი ძალა შესწევს იმას ნიშნავს რომ, ამქვეყნიერ ცხოვრებაში ბედნიერი იყო.

როგორი გინდათ დაგიმახსოვრონ?
–ერთ უბრალო ადამიანად.

როცა უკან მოიხედავთ რას ხედავთ?
–ლამაზ დღეებს და მძიმე, ტკივილიან პერიოდს, სადაც არასოდეს მიღალატია ჩემი სინდისისთვის და პატიოსნებისთვის.

თქვენი ნება რომ იყოს რას შეცვლიდით?
–ჩემი ნება რომ იყოს ამქვეყნად არასოდეს იქნებოდა ომი, საქართველო იქნებოდა ერთიანი, თავისუფალი და ძლიერი.

რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით.
–ლევ ტოლსტოის დავესესხები და ვიტყვი „არ ცდება მხოლოდ ის ვინც არაფერს აკეთებს, თუმცა ესაა მისი მთავარი შეცდომა“.

„ყველაფერი კარგად იქნება“

სახელი: ტარიელი
გვარი: ალექსანდრია
საქმიანობა: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

თქვენი წარსულის ერთი ლამაზი დღე?
–დღე, როდესაც ჩემ შვილს პირველად ჩავხედე თვალებში და შევეხე.

რას ინატრებდით?
–ადამიანთა შორის მშვიდობას და შვილების ნათელ მომავალს.

სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?
–სურვილების ასასრულებლად ჯერ კიდევ ბევრი დრო მაქვს, ასე რომ შეკითხვა ნაადრევია.

ყველაზე მეტად რას არ ისურვებდით?
–ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანების დაკარგვას.

ვის გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოგიდგენიათ?
–ჩემი ოჯახის.

თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე?
–პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და ერთგულება.

თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?
–უცნაური თვისება მგონი არ გამაჩნია.

რისი გჯერათ?
–მჯერა რომ ყველაფერი კარგად იქნება თუ ადამიანები სიყვარულით და სიკეთით იარსებებენ.

რასაც არასოდეს გააკეთებდით?
–არასოდეს გავაკეთებ იმას, რაც ჩემს ღირსებას და ადამიანობას შელახავს.

ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსება?
–საკუთარი თავის შეცნობა.

ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?
–ამაზე არ ვფიქრობ, მაგრამ ყოველიშემთხვევისათვის სემუელ ბაუმის სიტყვებით ვსარგებლობ „ნუ გეშინია შიშის–ის სასარგებლოა“

ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირდ იყენებთ?
–„ყველაფერი კარგად იქნება“.

რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?
–უფალი და რომ ადამიანის ცხოვრება ერთი დღით არ განისაზრვრება.

როგორ მოხვდით პოლიტიკაში?
–საკუთარი ნებით და მეგობრების რჩევით, კეთილი სურვილებით.

ვინ არიან თქვენი ოპონენტები?
–ადამიანები, რომლებიც არა ქვეყნის მომავალზე, არამედ საკუთარ თავზე ფიქრობენ.

ის რაც ძალიან გინდათ იცოდეთ?
–მინდა მიწაზე ვისწავლო ის, რისი ცოდნაც ზეცაში ჩვენთან განუყრელი იქნება.

რითი ილამაზებთ ცხოვრებას?
–ჩემ ოჯახთან და შვილებთან გატარებული თითოეული წამით და წუთით .

როგორი გინდათ დაგიმახსოვრონ?
–უბრალოდ კარგი ადამიანი „ტარიელ ალექსანდრია“

როცა უკან მოიხედავთ რას ხედავთ?
–ჩემ განვლილ ცხოვრებას და ამისთვის მადლობას შევწირავ უფალს.

თქვენი ნება რომ იყოს რას შეცვლიდით?“
–უფლის ნებას ვერავინ შეცვლის, ოცნებაში კი სიძულვილს და ბოროტებას გავაქრობდი.

რისი თქმაც ადრე გინდოდათ და დღეს ჩვენთან იტყვით.
–დავეხმაროთ სხვებს ისე, რომ სანაცვლოს არ ველოდოთ, არავინ იცის როდის დაგვიბრუნდება ერთხელ გაკეთებული მადლიერი საქმე უკან, თუმცა უკვალოდ ნამდვილად არ გაქრება სიყვარული და კეთილშობილება ერთმანეთის მიმართ. გვიყვარდეს ერთმანეთი და ყველაფერი, ყველაფერი კარგად იქნება !

ჩვენს მუნიციპალიტეტში

პროექტი „მომავალი თქვენია“

პირველი მაისის საბავშვო ბაგა-ბაღში გაიმართა პრეზენტაცია პროექტისა „მომავალი თქვენია“. პროექტი მიზნად ისახავდა ბაღის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციას (პროექტის კოორდინატორი ლელა ალექსანდრია) და განხორციელდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ, კავშირი „ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის“ და ასოციაცია „ათინათის“ ხელშეწყობით. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენდა 7778,40 ლარს, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის წვლილი თანადაფინანსების სახით 800 ლარია.

პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია, საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ალექსანდრია, ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გოჩა სიჭინავა, არასამთავრობო ორანიზაციის წარმომადგენლები და აღსაზრდელთა მშობლები.

სოფელ დასახლებაში ადგილობრივი მოთხოვნა გათვალისწინებულიქნა

ამა წლის 3-4 სექტემბერს ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ დასახლებაში, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობითი სამუშაოები განხორციელდა. სამუშაოები შესრულდა შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ მიერ, რომლის ფარგლებშიც ობიექტზე გაყვანილ იქნა 350 მ. სადენი და დამონტაჟდა 11 ლამპიონი. პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა.

დასრულებული სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ საკრებულოს და გამგეობის სხვა თანამდებობის პირებთან ერთად დაათვალიერეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოფილი ტექნიკუმის შენობაში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს შეხვდნენ. შეხვედრაზე განხილულ იქნა დევნილთა წინაშე მდგარი ყველა პრობლემური საკითხი. მოსახლეობის მხრიდან კმაყოფილება იქნა გამოხატული განხორციელებულ პროექტთან დაკავშირებით.

ლაშქრობა „ტობა ვარჩხილის“ მიმართულებით დასრულდა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთთანამშრომლობით „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში“ განხორციელებული პროექტი –ლაშქრობა „ტობა-ვარჩხილის“ მიმართულებით 1 სექტემბერს დასრულდა.

ხობის მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი ახალგაზრდები ბაქარ ცხადაია, ლუკა და გიგი ლოლუები სამეგრელო-ზემო სვანეთისა და თბილისის ახალგაზრდების ტურიზმით დაინტერესებულ 60 კაციან ჯგუფთან ერთად დაბრუნდნენ რთული მარშრუტიდან. მოლაშქრეთა განმარტებით, ლაშქრობის ხელმძღვანელმა გიორგი ყუფარაძემ ახალგაზრდებს ბუნების წიაღში მოგზაურობისას ჩაუტარა ტრენინგები ტურიზმის განვითარების წინაშე მდგარი პრობლემების, ტურისტული მარშრუტების შედგენის, ბუნებაში ორიენტირებისა და თვითგადარჩენის ხერხების შესახებ. ლაშქრობამ ახალგაზრდები დაამეგობრა, ბევრი საერთო და საინტერესო მოგონება გაუჩინა. ტრენინგ გავლილი ახალგაზრდები საკუთარი გამოცდილებით შეძლებენ მსგავსი ტურების დაგეგმვასა და განხორციელებას.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაცია

15 სექტემბრიდან რეცეპტით გასაცემ წამალთა სიიდან ურეცეპტოდ გასაცემთა ნუსხაში 772 სავაჭრო დასახელების მედიკამენტი გადავა

ამის შესახებ განცხადება დღეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გააკეთა. მისი თქმით, ჯგუფებს შორის მედიკამენტების რეკლასიფიკაციის შესახებ ინიციატივა საქართველოს ფარმაცევტულ ასოციაციას ეკუთვნის. 772 სავაჭრო დასახელების მედიკამენტი, რომელიც ურეცეპტოდ გასაცემთა ნუსხაში გადავიდა, შემდეგ რიგს განეკუთვნება:

1. ადგილობრივი დერმატოლოგიური გამოყენების ანთების საწინააღმდეგო ანტიბაქტერიული საშუალებები.
2. ანტივირუსული საშუალებები.
3. ოფთალმოლოგიური დაავადებების სამკურნალო საშუალებები, ყურის წვეთები;
4. იმუნომოდულატორები;
5. ანტიმიკოზური საშუალებები;
6. ვიტამინები და (საინექციო წამლის ფორმები);
7. მეტაბოლურ პროცესებზე მოქმედი საშუალებები;
8. არასტეროიდული ანთების საშუალებები (საინექციო წამლის ფორმები);
9. აზმოვიზური საშუალება (საინექციო წამლის ფორმები)
10. ერექციის დისფუნქციის სამკურნალო საშუალებები;
11. ჰეპატოპროტექტორული საშუალებები;
12. ანტიჰელმინთური და ანტიპროტოზოიული;
13. ბიოგენური სტიმულატორები;
14. ანთების საწინააღმდეგო ანტიბაქტერიული საშუალებები;
15. რეჰიდრატაციისა და დეზინტოქსიკაციური საშუალება ელექტროლიტური ხსნარები;

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა, ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, მედიკამენტების ჯგუფებში გადანაწილების კუთხით, ეს რიგით მეხუთე ცვლილებაა. მისივე თქმით, რეკლასიფიკაციის პროცესი, როგორც ურეცეპტოდ გასაცემ მედიკამენტთა სიიდან რეცეპტით გასაცემთა ჯგუფში, ისე პირიქით, კვლავ გაგრძელდება.

საზმოინელოზი

ექიმი გვირჩევს

მიმდინარე წლის 2 აგვისტოს ზემო ქვალონის თემში ოჯახურ წვეულებაზე (ქორწილში) დაფიქსირდა სალმონელოზით მრავალი ათეული ადამიანის კვებითი ინტოქსიკაციის შემთხვევა. ჯანდაცვის ცენტრის მიერ კერის ეპიდემიოლოგიური გამოკვლევები ჩატარდა დაავადებული პირების სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში. მკურნალობა დაავადებულ პირებს ჩაუტარდათ მსგავსი რამ კვლავ რომ არ მოხდეს, ჩვენი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს რამ გამოიწვია ეპიდაფეთქება, როგორ ავიცილოთ თავიდან მოსახლეობის დაინფიცირება, ამჯერად მოგითხრობთ სალმონელოზის შესახებ.

ჩატარებული ლაბორატორიული კვლევებით ზემოთხსენებულ შემთხვევაში მოსახლეობის ინფიცირება გამოიწვია სალმონელა-ომნის ჯგუფის მიკრობებმა.

ამჟამად ცნობილია სალმონელების ათასექვსასამდე ტიპი. ისინი აერობებია და ეგზოტოქსინს არ გამოყოფენ. შეიცავენ ენდოტოქსინს, რომელიც გამოიყოფა ორგანიზმში ან საკვებ პროდუქტში მიკრობის დაშლის შედეგად. სალმონელების ზოგიერთი წარმომადგენელი პათოგენურია მხოლოდ ადამიანისთვის, ზოგი კი პათოგენურია როგორც ცხოველებისთვის, ასევე ადამიანისათვის. სალმონელები +60 გრადუსს უძლებენ ერთი საათი, 70–80 გრადუსს 10–15 წუთი, გაყინვას 3–4 თვე.

დაავადების პათოგენეზში მონაწილეობს 2 ფაქტორი: ტოქსიკური და ინფექციური, მაგრამ მარტო ტოქსინს ცოცხალი ჩხირების გარეშე დაავადების გამოწვევა ჯანმრთელ ორგანიზმში არ შეუძლია, დაავადების განვითარებისათვის საჭიროა კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხდეს მიკრობების დიდი რაოდენობა. წვრილი ნაწლავებიდან სალმონელები გადადიან ლიმფაში და სისხლში, მოითესებიან სხვადასხვა ორგანოებში და ადამიანის მიმართ პათოგენების ხარისხის მიხედვით ან სწრაფად იშლებიან და ვითარდება ტოქსიკაცია, ან მრავლდებიან, იწვევენ ზოგად ინფექციას. თუ ნაწლავში ცოცხალ ჩხირებთან ერთად მოხვდა მზა ტოქსინიც, იგი აძლიერებს ნაწლავის ლორწოვანის განვლადობას და ხელს უწყობს მიკრობების გადასვლას სისხლში. თავის მხრივ მიკრობები გზას უკაფავენ ტოქსინს და ისიც შეიწოვება სისხლში. შემდგომში სისხლში ენდოტოქსინი გროვდება სალმონელების დაშლის შედეგად. ენდოტოქსინი იწვევს სისხლძარღვების დამბლას, კოლაფსის ან ენდოტოქსიკური შოკის განვითარებას.

ბაქტერიები მოქმედებენ კუჭნაწლავის ტრაქტზე და იწვევენ მწვავე გასტროგენტერიტს, რასაც დიდი რაოდენობით სითხის და ტუტე მარილების დაკარგვა მოყვება. ირღვევა ელექტროლიტების ცვლა, ვითარდება სისხლის შესქელება, აციდოზი, კრუნჩხვები, ირღვევა ჰემოდინამიკა, ჟანგვითი პროცესები, თერმორეგულაცია.

ინფექციის წყაროა რქოსანი საქონელი, ღორები, ფრინველები და მათი კვერცხები, მღრღნელები. ზოგჯერ ადამიანის დასნებოვნება ხდება ძირითადად ხორცის პროდუქტებით, ხორცი შეიძლება გაბინძურდეს ცხოველის სიცოცხლის დროს, თუ ცხოველი ავადაა სალმონელოზით, ან კიდევ დაკვლის შემდეგ, ნაწლავის შიგთავსით თუ ცხოველი ბაქტერიამატარებელია. სალმონელოზი შეიძლება გამოიწვიოს იხვის კვერცხებმა, თევზმა, რძის პროდუქტებმა და მცენარეულმა პროდუქტებმაც, თუ ისინი მოხარშვის შემდეგ გაბინძურდა სალმონელებით. მათი გაბინძურება ხდება უმ ხორცთან კონტაქტით, მღრღნელების ან ბაქტერიამატარებელი ადამიანის მიერ. ჩვილ ბავშვებში სალმონელოზი შეიძლება გავრცელდეს წყლით და ჰაერის გზითაც, რადგან ბავშვების დასნებოვნებისათვის მიკრობების მცირე რაოდენობაც კი საკმარისია.

ინკუბაციური პერიოდი მერყეობს 6-დან 36 საათამდე. დაავადება იწყება მწვავედ, შემცივნებით, ტემპერატურის მომატებით, მუცლის ტკივილით, გულისრევით და ღებინებით. შემდეგ იწყება ფაღარათი. გასტროენტერიტული ფორმის გარდა გვხვდება ქოლერის მაგვარი, დიზენტერიის მაგვარი, ტიფის მაგვარი, გრიპის მაგვარი და სეფსისური ფორმები. ქოლერისაგან განსხვავებით სალმონელოზი იწყება ღებინებით და შემდეგ ემატება ფაღარათი.

დიზენტერიისაგან განსხვავებით სალმონელოზის დროს სისხლი განავალში იშვიათია, ცხელება უფრო ხანგრძლივი და გრძელდება ფაღარათის შეწყვეტის შემდეგაც.

ბავშვებში სალმონელოზი მძიმედ მიმდინარეობს. ამავე დროს ბავშვების დასნებოვნებისათვის უფრო ცოტა მიკრობია საჭირო. სალმონელოზის დიაგნოზი ისმება ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე. იგი მკურნალობას კარგად ექვემდებარება. ამ დროს ხდება კუჭის ამორეცხვა, სათბურები სხეულის ირგვლივ, უკეთდება ფილიპსის ხსნარი, ფიზიოლოგიური ხსნარი ან გლუკოზის 5% ხსნარი ვენაში. ტიფისმაგვარი და სეფსისური ფორმების დროს უნიშნავენ ანტიბიოტიკებს, კუჭ-ნაწლავის ფორმის დროს ანტიბიოტიკები არ არის საჭირო.

პროფილაქტიკა გულისხმობს ცხოველების სალმონელოზთან ბრძოლას, სანიტარული წესების დაცვას სასაკლაოებზე, ბაზრებზე, საწყობებში, მაღაზიებში, საჭიროა ღონისძიებების გატარება მღრნელების წინააღმდეგ, რადგან სხვა ცხოველებთან ერთად ისინიც ხშირად არიან სალმონელოზი მიკრობების მატარებლები. უნდა გაძლიერდეს სანიტარული კონტროლი კვების ბლოკის მუშაკებზე. ფართოდ უნდა დაინერგოს მაცივრები კვების ბლოკში. უნდა ჩატარდეს საკვების თერმული დამუშავება ჭამის წინ. ჩვილ ბავშვებს აუდუღარი წყალი არ უნდა დავალევინოთ. დიდმაც და პატარამაც უნდა დაიცვას პირადი ჰიგიენის წესები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხელების საპნით დაბანას. ნებისმიერი პროდუქტი ხმარების წინ უნდა გაირეცხოს გამდინარე ცივი წყლით.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი-პროფილაქტიკოსი.

სულიერება

ლევანი ბერაია

მწუხრის ზარმა მწარედ ჩამოჰკრა ჩვენს ოჯახში. დღემდე ვერ შევეგუეთ იმ სიცარიელეს, რასაც შენს გარეშე ცხოვრება ჰქვია. დრო მიდის და უფრო მძაფრდება შენი მონატრება. გაუსაძლის მდგომარეობაში გავიდა ერთი წელი. ყველაფერი ერთ წამში დამთავრდა. ავტოავარიამ შეიწირა შენი სიცოცხლე. რამდენი აუხდენელი ოცნება გაიყოლე თან. სამაგიეროდ დაგვიტოვე ზღვა ცრემლი და უსაშველო ტკივილი. მუდმივად შენი ღიმილიანი, ლამაზი სახე ირგვლივ სინათლეს რომ ასხივებდა გვიდგას თვალწინ.

დრო გადის, მაგრამ ტკივილი არ ყუჩდება, ძნელია უშენობა. კიდევ ერთხელ ვეფერებით შენს საფლავს, რომელიც ჩვენი სალოცავია. ბედმა გაგვწირა, რას წარმოვიდგენდით ეს დღე თუ გველოდა. გვეამაყება, რომ დიდი სიყვარულით გიხსენებენ ნაცნობები, მეზობლები, იხსენებენ შენს პატიოსნებას, კეთილშობილებას და სიკეთეს. უსაშველოდ ენატრები შენს ერთადერთ შვილს–ვილის. ცრემლი არ შეშრობია შენს მეუღლეს და გამწარებულ დედ-მამას.

ისღა დაგვრჩენია, რომ ვილოცოთ შენთვის, ვეფერებით შენს გულზე დაყრილ მიწას, თუმცა შენს საფლავთან მოსულებს მხოლოდ სასაფლაოს მდუმარება გვეგებება. ჩვენ აქ სანთელსაკმეველს არ მოგაკლებთ, იქ კი ღვთის ნათელი გაგინათებს წმინდა სასუფეველს.

ნათელი დაადგეს შენს საფლავს.

მუდამ შენთვის მლოცველი შენი ოჯახი.

„კარგს გულს არა აკლავს ბუნება“...

ზაზა აბაკელიას ხსოვნას



აგვისტო მძიმე თვეა...

წლებია ჩვენს პატარა სოფელში ადამიანებს თვალებზე ცრემლი არ შეშრობია. დარდით, ფიქრითა და მონატრებით ერთმანეთს მიჰყება სითბოგაცრეცილი დღეები.

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს, მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი“ უთქვამს პოეტს. მართლაც, რამდენჯერ გავარდა მეხი, რამდენი ახალგაზრდას სიცოცხლე შთანთქა წუთისოფელმა.

ჰოი, რა მძიმეა წუთისოფელი...

წუთისოფლის საცერი ცრის... ყველას ბედს და იღბალს, ვის უმიზნოდ აბოგინებს, ვის ჩაუკლავს მიზანს.

ზაზა აბაკელია...

პატარა ასაკში წახვედი ჩვენგან, ადრე ჩაგიტყდა ცხოვრების ხიდი, შენი მიზნები და ოცნებები წუთში ჩაყლაპა შენმა ბედისწერამ.

ვაი დედასა...

„ჩელაიასავით“ ბიჭი...

შენთან სიკვდილს რა უნდოდა, გეჩქარებოდა? ისწრაფვოდი? ლამობდი?.. რა სენი შეგეყარა ასეთი განუკურნებელი, რამდენი საფიქრალი დაუტოვე შენს მშობლებს, მეზობლებს, ახლობლებს. უძიროდ, უფესვოდ რამდენ ტკივილს უძლებს ადამიანი. თვალწინ გვიდგას შენი სევდიანი თვალები, ნეტავ რას ფიქრობდი, მართლაც შავ-ბნელი სიზმარია თუ სინამდვილე ყოველივე. გეძებენ ჩვენი თვალები, სადა ხარ? იქნებ გოგა ბერაისთან შენს თანასოფლელ გმირთან ერთად სადმე ახალგაზრდებს შორის ქეიფობ, თქვენ ხომ ტოლები იყავით. ძმობა, მეგობრობა და მეზობლობა არ გეშლებოდათ...

აგვისტო...

ცხელი ზაფხული...

ზაზა, გოგა, დიტო.

ჩვენი ქუჩის ვეფხვივით ბიჭები...

„კარგს გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველის ძველადა“, სწორედ ამ იმედით გემშვიდობებით ზაზა...

დე, ჩვენგან შენთვის ანთებულმა სანთლებმა გაგინათონ გზა მარადისობაში.

მეზობლების სახელით
ნაირა ბერაია.

გოგი ბუკიას სახელობის მერვე საერთაშორისო ტურნირი ნარდში

10-14 სექტემბერს, ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ ტარდება გოგი ბუკიას სახელობის მერვე მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში.

ტურნირში მონაწილეობს 15-მდე ქვეყნის 100-ზე მეტი საუკეთესო მონარდე. მათ შორის მსოფლიოს წლევანდელი **ჩემპიონი ქალბატონი აკიკო იაზავა (იაპონია), ექს-ჩემპიონი - მაიკლ სვობოდნი (აშშ), ნარდის ლეგენდა, მსოფლიოს ყველაზე მაღალრეიტინგული მონარდე –მოჩი ზუკი (იაპონია).**

გოგი ბუკიას ტურნირი დაფუძნდა 2007 წელს, „განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ ხობის“ ინიციატივით, ჟურნალისტისა და ნარდის ქომაგის, **გოგი ბუკიას** ხსოვნის პატივსაცემად.

ტურნირი ტარდება ნარდის მსოფლიო ფედერაციის ორგანიზებით–პრეზიდენტი მარკო ფორნასირი (იტალია). იგი შეტანილია საერთაშორისო გათამაშების ცხრილში და ნარდის მსოფლიო ფედერაციის 2014 წლის ოქროს წრეში.

თანაორგანიზატორები არიან საქართველოს ნარდის კლუბი და ნარდის ეროვნული ფედერაცია.

გოგი ბუკიას მემორიალი მნიშვნელოვან სამსახურს უწევს ჩვენს ქვეყანაში, როგორც ნარდის პოპულარიზაციასა და სპორტის სახეობად განვითარებას, ასევე ქართველი მონარდეების საერთაშორისო თამაშებში ინტეგრირებას.

დაწესებულია სხვადასხვა პრიზები და წამახალისებელი ჯილდოები. ტურნირის ყველაზე ერთგულ მონაწილეს ყოველწლიურად გადაეცემა ხობის მუნიციპალიტეტის პრიზი, წყვილთა ტურნირზე გამარჯვებულთათვის კი წელს სპეციალური პრიზი დააწესა საოგადოებრივმა მაუწყებელმა.

ყოველწლიურად იზრდება გოგი ბუკიას მემორიალის რეიტინგი და ავტორიტეტი, რაც საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნის წარმოჩენის და პოპულარიზაციის, კიდევ ერთი საშუალებაა.

ასპარეზობები ტარდება მსოფლიო თამაშების სისტემით სხვადასხვა კატეგორიებში - ოსტატები და მოყვარულები, იმართება წყვილთა, ქალთა და სხვა მინი-ტურნირები. გუნდური მატჩები საქართველო და მსოფლიო.

2012 წლიდან გოგი ბუკიას ტურნირის ფარგლებში იმართება მინი-ტურნირი ჟურნალისტებს შორის.

წელს, 30-31 აგვისტოს, ჟურნალისტთა ტურნირს მასპინძლობდა სასტუმრო **„წყალტუბო პლაზა“.**

ნარდში თავიანთი შესაძლებლობები მოსინჯა ქართული მედიის 20-მა წარმომადგენელმა.

პირველი ადგილი მოიპოვა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ, ბატონმა **თამაზ ტყემალაძემ.** მეორე ადგილი კი წილად ხვდა TV3-ის ახალგაზრდა ოპერატორს **ნიკა სანიშვილს**. ისინი დაჯილდოვდნენ ჩაქვის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის საგზურებით.

მომავალი წლიდან ჟურნალისტთა ტურნირიც საერთაშორისო მნიშვნელობას შეიძენს და ის ყოველწლურად, მაისის ბოლო შაბაკვირას წყალტუბოში გაიმართება.

ასე, რომ ნარდის მოყვარულებს საინტერესო და ლამაზი დღეები ელით.

P.S. საქართველოს პარლამენტის წევრის, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას მიწვევით 13 სექტემბერს დაბა ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ გაცნობითი ხასიათის გასვლითი შეხვედრა გაიმართა. მიწვეული იყვნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი, გამგებლის მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს წევრები და გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში. შეხვედრაზე ისაუბრეს რაიონში არსებულ პრობლემებზე, ახალ ინიციატივებსა და პროექტებზე. შეხვედრის ვრცელ ვერსიას შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ნინო ლიპარტია

მოლოცვა

ბესო ვეკუას, თამთა ბასილაიას

გილოცავთ თქვენი ცხოვრების ყველაზე დიდ და ულამაზეს დღეს; იგი ღვთიური დღესასწაული და ადამიანის სულის ზეიმია, რადგან მას სიყვარული უდევს საფუძვლად. ბედნიერების სიმღერამ, რომელიც თქვენი ქორწილის დღეს დაიწყო და ორი არსება ერთად გაქციათ, ყოფილიყოს თავფურცელი იმ დიდი წიგნისა, რომელსაც ბედნიერი ცხოვრება ჰქვია.

დიდხანს იცოცხლეთ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, რომლისთვისაც ღირს ცხოვრება.

მანანა შულაია.

Clean Up Georgia
დავასუფთაოთ საქართველო

დავასუფთაოთ მსოფლიო!
დავასუფთაოთ საქართველო!
დავასუფთაოთ ხობი!

მოგიწოდებთ ყველას!

ვისაც სამშობლო გიყვართ და ქვეყნის მომავალზე ზრუნავთ

19 სექტემბერი

–1 დღე დაუთმეთ ხობის მუნიციპალიტეტის დასუფთავებას.

დაასუფთავეთ თქვენი ქუჩა, უბანი, სოფელი, ქალაქი ოჯახთან, მეზობლებთან და მეგობრებთან ერთად.

თითოეული თქვენთაგანის პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა არ ვიცხოვროთ დაბინძურებულ გარემოში, სტუმრებს ღირსეულად დავხვდეთ და ჯანმრთელობა გავისუჯობესოთ. საქართველოს ბუნებას „დაყრილი ნაგავი არ უხდება“.

მოგმართავთ ყველას ერთად შევამციროთ სამარცხვინოდ მიმოფანტული ნარჩენი ჩვენს ქვეყანაში.

მედეა ქობალია,
პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს“ კოორდინატორი ხობში.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

ბაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

ბაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ბაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.